



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
სელნაფერთა ეროვნული ცენტრი

KORNELI KEKELIDZE GEORGIAN
NATIONAL CENTRE OF MANUSCRIPTS

თბილისი • TBILISI

2023

M RAVALTAVI

Philological and Historical
Researches

Published since 1971

29

ქართული
რეალთაუი

ფილოლოგიურ-ისტორიული
ძიგანი

გამოდის 1971 წლიდან

„მრავალთავის“ 29-ე ტომში წარმოდგენილია ფილოლოგიურ-კოდიკოლოგიური და წყაროთმცოდნეობით-ისტორიული ხასიათის ნარკვევები, რომლებიც ეძღვნება ქართული მწერლობის, ისტორიისა და კულტურის საკითხებს, აგრეთვე, 2022 წლის ქრონიკა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ და ცენტრის მეცნიერ თანამშრომლების მონაწილეობით ჩატარებული კონფერენციების, სემინარების, გამოფენების, ექსპედიციამივლინებების შესახებ. მკითხველი ასევე გაეცნობა ინფორმაციას ცენტრის მიერ 2022 წელს გამოცემული წიგნების შესახებ.

სარედაქციო კოლეჯია

ნათია დუნდუა (პასუხისმგებელი მდივანი), დარეჯან კლდიაშვილი, აპოლონ თაბუაშვილი, მაია მაჭავარიანი, ნინო მელიქიშვილი (მთავარი რედაქტორი), თამარ ოთხმეზური, მაია რაფავა, მზია სურგულაძე, დალი ჩიტუნაშვილი.

იოსტ გიპერტი (ჰამბურგის უნივერსიტეტი), ჰუბერტ კაუფჰოლდი (მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი), ბერნარ კული (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი), ოლივერ რაისნერი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), ბერნარ უტიე (სამეცნიერო კვლევის ფრანგული ნაციონალური ცენტრი), თინათინ ქრონცი (მაინცის გუტენბერგის სახელობის უნივერსიტეტი), გაგა შურღაია (ნეაპოლის უნივერსიტეტი “L’Orientale”), ნინო ცხომელიძე (ჯონს ჰოპკინზის უნივერსიტეტი).

ტომის რედაქტორები: მაია მაჭავარიანი, დარეჯან კლდიაშვილი.

EDITORIAL BOARD

Dali Chitunashvili, Natia Dundua (executive secretary), Darejan Kldiashvili, Maia Matchavariani, Nino Melikishvili (editor-in-chief), Thamar Otkhmezuri, Maia Raphava, Mzia Surguladze, Apolon Tabuashvili.

Jost Gippert (Universität Hamburg), Hubert Kaufhold (Ludwig-Maximilians-Universität München), Bernard Coulie (Université Catholique de Louvain), Oliver Reisner (Iliia State University), Bernard Outtier (French National Centre for Scientific Research), Tinatin Chronz (Johannes Gutenberg-Universität Mainz), Gaga Shurghaia (University of Naples “L’Orientale”), Nino Zchomelidze (Johns Hopkins University).

Editors of the volume: Maia Matchavariani, Darejan Kldiashvili.

ISSN 0234-7385 („მრავალთავი“)

© კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2023

შინაარსი

ობარ ოთხმეზური	
ფიგურალური გამოთქმა – კანონი ილისტიკისა – ეგრემ მცირის თარგმანებში (არეოპაგიტული კორპუსი და გრიგოლ ღვთისმეტყველის ლიტურგიკულ საკითხავთა კრებული)	10
ნინო მელიქიშვილი	
წმ. ეფთვიმე ათონელის „ღვთისმშობლის ცხოვრების“ ქართული თარგმანის ბერძნული წყაროს შესახებ	26
ემვთიმე კოჭლამაზაშვილი	
ეფთვიმე მთაწმიდელის ერთი უცნობი თარგმანი	53
ნუზარ პაპუაშვილი	
ახალციხის მეჩეთი და მისი ბიბლიოთეკა პავლე სანკოვსკის სტატიის კვალდაკვალ	73
ლაშა ტყეშელაშვილი	
ევაგრე პონტოელის შრომათა ძველი ქართული თარგმანები (წინათონური) და მათ შორის ერთი უცნობი შეგონება „ცუდაღბუაობისათვის“	109
ოქო ჯოჯო	
ძველი გავაზის თავწმინდა გიორგის ეკლესიის 1026 წლის საღმრთო წარწერა კახეთ-პერეთის მეფეების – კვირიკე III დიდისა და საჰლას მოხსენიებით	128
ცისანა ბიბილიაშვილი	
სახლი ბეთანიაში (ბარონ ალ. ნიკოლაის წერილების მიხედვით)	164
EKA KVIRKVELIA, MARIAM KAMARAULI	
A preliminary analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging	175
WALKER R. THOMPSON	
Marian Hymnography in the Georgian Jerusalem Tropologion	205

მავდა მჟედლიძე

იოანე პეტრიწის ვრცელი ბიბლიოგრაფია 2021 წლამდე 233

ინფორმაცია

ქრონიკა 2022 257

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის 2022 წლის გამოცემები 263

IN MEMORIAM

ზაზა ალექსიძის გახსენება 271

ეთერ ქავთარაძე (1937-2023) 279

CONTENTS

THAMAR OTKHMEZURI

- Figurative Expression – A Rule of Ilistiki – in the Collection of Gregory the Theologian’s Liturgical Sermons and the Corpus Areopagiticus Translated by Ephrem Mtsire 10

NINO MELIKISHVILI

- On the Greek Source of the Georgian Translation of the “Life of the Virgin Mary” by St. Euthymius the Hagiorite (based on the research of Michel Van Esbroeck and Christos Simelidis) 26

EKVTIME KOCHLAMAZASHVILI

- A Previously Unknown Translation by Euthymius the Hagiorite 53

NUGZAR PAPUASHVILI

- Akhaltsikhe Mosque and Its Library: Following Pavel Sankovski’s Article 73

LASHA TKEBUCHAVA

- Old-Georgian (Pre-Athonite) Translations of the Works of Evagrius Ponticus and Among Them One Unknown Admonition “De Vana Gloria” 109

TEMO JOJUA

- The 1026-year-old Construction Inscription of the Church of St. George of Old Gavazi, Mentioning the Kings of Kakheti-Hereti – Kvirike III the Great and Sahla 128

TSISANA BIBILEISHVILI

- The House in Bethania (Based on the Letters of Baron Al. Nikolai) 164

EKA KVIRKVELIA, MARIAM KAMARAULI

- A preliminary analysis of the Georgian Palimpsest Paris, BnF, géorg. 5 with Multispectral Imaging 175

WALKER R. THOMPSON

- Marian Hymnography in the Georgian Jerusalem Tropologion 205

MAGDA MCHEDLIDZE

- An Extensive Bibliography of Ioane Petritsi up to 2021 233

INFORMATION

- Chronicle – 2022 257
Publications of the National Center of Manuscripts – 2022 263

IN MEMORIAM

Remembering Zaza Aleksidze
Eter Kavtaradze (1937-2023)

271

279

ხელნაწერთა ძირითადი საცავები საქართველოში

შემოკლებები

პიპმ	სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
სცსპ	საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი (საქართველოს ეროვნული არქივი)
სიპმ	სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
სპიმ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
ქიპმ	ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი
ხმ	შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების ეროვნული მუზეუმი (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)
ხეც	ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (ყოფილი კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი)
ზიამ	ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი
NCM	National Centre of Manuscripts

თეო ჯოჯუა

ძველი გავაზის თავწმინდა გიორგის ეკლესიის 1026 წლის სააღმშენებლო წარწერა კახეთ-ჰერეთის მეფეების – კვირიკე III დიდისა და სპლას მოსხენიებით¹

ძველი გავაზი ისტორიული ჰერეთის პროვინციის ერთ-ერთ უძველეს და უმნიშვნელოვანეს დასახლებას წარმოადგენდა. იგი ამჟამინდელი ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის ტერიტორიაზე მდებარეობდა და მდინარე ალაზნის მარცხენა შენაკადის – მდინარე ავანის, აგრეთვე, ამ უკანასკნელის მცირე შენაკადების, მდინარეების – ქვაწერას, იულდასა და შოროხევის ნაპირებზე იყო გაშენებული.

დღეისათვის ძველი გავაზის, როგორც დასახლების, რაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ორი განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული: პირველი მოსაზრების თანახმად, ძველი გავაზი სასოფლო დასახლებას წარმოადგენდა,² ხოლო მეორე მოსაზრების მიხედვით, ძველი გავაზი ქალაქი იყო.³

ძველი გავაზის მიდამოები ისტორიული-გეოგრაფიული თვალსაზრისით შეისწავლა დავით მუსხელიშვილმა, რომელმაც ამ მხარეში 1961 და 1963 წლებში იმუშავა. მკვლევარმა 1967 წელს გამოქვეყნა სტატია „კახეთ-

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული პროექტის „ქართული ეპიგრაფიკის ნიმუშები (საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებიდან)“ (FR-21-5320) ფარგლებში. აქვე, ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას მოვასხენებ: საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ქვის ძეგლების ფონდის უფროს სპეციალისტს ნინო დათუნაშვილს – საკვლევ წარწერაზე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდების დაცვის, აღრიცხვისა და ექსპონირების დეპარტამენტის დიგიტალიზაციის განყოფილების მთავარ სპეციალისტ დიმიტრი გურგენიძეს – იმავე წარწერის პალეოგრაფიული პირის გამოსაცემად მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის.

² ჭილაშვილი, *ძველი გავაზი*, გვ. 94; (ქსე) *გავაზი*, გვ. 623; (სე) *გავაზი*, გვ. 532.

³ (ქცტლ) *გავაზი*, გვ. 130.

ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII საუკუნეებში“, რომელშიც დაადგინა, რომ ძველი გავაზი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო და ორი ისტორიული გზის გადაკვეთაზე მდებარეობდა. ამ ორ გზას შორის, პირველი გზა წარმოადგენდა დიდ სავაჭრო მაგისტრალს, რომელიც ქართლისა და კახეთის პროვინციებს ჯერ ჰერეთთან, შემდეგ კი ალბანეთის შიდა რაიონებთან და სომხეთთან აკავშირებდა, ხოლო მეორე გზა კახეთ-ჰერეთიდან, შოროხევის ხეობის გავლით, დაღესტანში გადადიოდა. დაახლოებით, მეორე გზას ემთხვეოდა ე. წ. ცხვრის გზაც, რომლითაც შირაქის საძოვრებიდან მომავალი ცხვრის ნაწილი დაღესტნის მთებში აჰყავდათ.⁴

ძველი გავაზის ტერიტორია 1969-1972 წლებში ფრაგმენტულად შეისწავლა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომლის ხელმძღვანელმაც – ლევან ჭილაშვილმა ჩატარებული კვლევის შედეგებს 1975 წელს დაბეჭდილ წიგნში „ძველი გავაზი“ მოუყარა თავი. კვლევის შედეგად, ძველი გავაზის ტერიტორიაზე სულ ხუთი უბანი გამოვლინდა. ესენია: 1. კოპალე; 2. ნაბაზრალი, იგივე ნაბაზრევი; 3. სამაროვანი; 4. დარბაზოვანი, იგივე ნადარბაზევი; და 5. სამება. ქვემოთ ხუთივე ამ უბანს ცალ-ცალკე, მოკლედ დავახასიათებ.

1. კოპალე – დასახლების ერთ-ერთი ძირითადი, აგრარული უბანი; მდებარეობს ავანისა და იულდას ორმდინარეთის ტერიტორიაზე; მოიცავდა მსხვილი ქვით ნაგები ღობე-ყორეებით მოზღუდულ სავენახე ნაკვეთებს; ირწყვებოდა ავანიდან და იულდადან გამოყვანილი მოზრდილი არხით; უბნის ტერიტორიაზე არქეოლოგიურად გამოვლენილია მცირე სამლოცველო, სამეურნეო ნაკვეთებში აღმართული მომცრო ნაგებობები, სამჭედლო და საწნახელები; მიკვლეულია კერამიკისა და მინის მასალა, რომლის ძირითადი ნაწილის საერთო ქრონოლოგია X-XIV საუკუნეებს მოიცავს, აგრეთვე, ლითონის ნივთები, რომელთაგან ერთ-ერთი – სპილენძის ქართულწარწერიანი თეფში XVII საუკუნის I ნახევრით თარიღდება. ლევან ჭილაშვილის აზრით, მთელი უბნის ტერიტორია, აქ გაშენებულ ვენახებთან ერთად, სატაძრო საკუთრებას წარმოადგენდა და სავარაუდოდ, ეკუთვნოდა ძველი გავაზის სხვა უბანში – დარბაზოვანში აღმართულ თავწმინდა გიორგის ეკლესიას, რომლის მისალოცი ხატი, იგივე კოპალეს ხატი და მისალოცივე ცაცხვის ხე კოპალეს ჩრდილოეთ

⁴ მუსხელიშვილი, „კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII საუკუნეებში“, გვ. 84-85.

ნაწილშია ლოკალიზებული.⁵

2. ნაბაზრალი – დასახლების ერთ-ერთი ძირითადი, სავარაუდოდ, სავაჭრო უბანი; მდებარეობს ავანის მარჯვენა ნაპირის გაყოლებაზე; აქ მიწისზედა ძეგლებიდან შემორჩენილია მცირე ზომის ეკლესია და გვიანი შუა საუკუნეებით დათარიღებული თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც თუშის ციხის სახელით არის ცნობილი; უბნის ტერიტორიაზე არქეოლოგიურად გამოვლენილია ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც, სავარაუდოდ, ფუნდუკებსა თუ ქულბაქებს ეკუთვნოდა, აგრეთვე, ქვით ნაგები მარნისა და ღობე-ყორის ფრაგმენტები; მიკვლეულია კერამიკული მასალა, რომლის ძირითადი ნაწილის საერთო ქრონოლოგია X-XIV საუკუნეებს მოიცავს.⁶

3. სამაროვანი – დასახლების ერთ-ერთი უბანი; მდებარეობს ავანის მარცხენა ნაპირზე, კოპალეს უბნის სამხრეთით; აქ მიწისზედა ძეგლებიდან შემორჩენილია გავაზის ტეტრაკონქის სახელით ცნობილი VI საუკუნის ღმრთისმშობლის ეკლესია, რომელიც ადრე შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს; უბნის ტერიტორიაზე არქეოლოგიურად გამოვლენილია ოცდაათზე მეტი სამარხი, რომლებიც ღმრთისმშობლის ტაძრის გარშემოა მოწყობილი; მიკვლეულია კერამიკის, ლითონისა და მინის მრავალფეროვანი მასალა, რომლის ძირითადი ნაწილის საერთო ქრონოლოგია X-XIV საუკუნეებს მოიცავს, აგრეთვე, სამი ვერცხლის მონეტა, რომელთაგან ერთ-ერთი – ჰულაგუიდთა სახელმწიფოს სულთან აბუ საიდის (1317-1335 წწ.) სახელით მოჭრილი მონეტა XIV საუკუნის I ნახევრით, ხოლო დანარჩენი ორი მონეტა – ოსმალური ახჩები XVII საუკუნით თარიღდება.⁷

4. დარბაზოვანი – დასახლების ერთ-ერთი განაპირა უბანი; მდებარეობს ავანისა და ქვაწერას ხერთვისში, ტყით დაფარულ მაღალ კონცხზე, კოპალეს ჩრდილოეთით; მოიცავდა თავდაცვითი, საეკლესიო და საცხოვრებელი ნაგებობებისაგან შემდგარ არქიტექტურულ კომპლექსს, რომელიც გალავნით იყო მოზღუდული; აქ მიწისზედა ძეგლებიდან შემორჩენილია სამსართულიანი ციხე-სასახლე, რომელიც საგუშაგო კოშკის ფუნქციასაც ასრულებდა, თავშემინდა გიორგის დარბაზული ეკლესია, რომელსაც სამხრეთიდან მინაშენი აქვს მიდგმული და დიდრონი ლოდებით აგებული ზღუდე; უბნის ტერიტორიაზე არქეოლოგიურად გამოვლენილია უინვენტარო სამარხი და რამდენიმე ქვევრი; ლევან ჭილაშვილის აზრით,

⁵ ჭილაშვილი, *ძველი გავაზი*, გვ. 12-35.

⁶ ჭილაშვილი, *ძველი გავაზი*, გვ. 36-43.

⁷ იქვე, გვ. 44-74.

დარბაზოვანი ძველი გავაზის თავდაცვითი სისტემის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა.⁸

5. სამება – დასახლების ერთ-ერთი გვიანდელი უბანი; მდებარეობს შოროხევის მარცხენა ნაპირზე, კოპალესა და სამაროვნის სამხრეთით; აქ მიწისზედა ძეგლებიდან შემორჩენილია ძლიერ დაზიანებული სამების ეკლესია, რომელიც, სავარაუდოდ, XV-XVI საუკუნეებით თარიღდება; უბნის ტერიტორიაზე არქეოლოგიურად გამოვლენილია ქარვასლა, რომელიც ოთხკუთხა მოყვანილობის მქონე დიდი ზომის ნაგებობას წარმოადგენს და ქურა, რომელიც თიხის ნაკეთობათა გამოსაწვავად გამოიყენებოდა; მიკვლეულია კერამიკის მასალა, რომლის ქრონოლოგია X-XIV საუკუნეებს მოიცავს.⁹

ძველი გავაზი ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში არაერთგზის არის მოხსენიებული. ამ წყაროებში დაცული ცნობები ლევან ჭილაშვილმა, გელა გამყრელიძემ, დავით მინდორაშვილმა, ზურაბ ბრაგვაძემ, მარინე კვაჭაძემ, გიორგი აფრასიძემ, კახა კახაძემ და ლალი მოწონელიძემ სხვადასხვა კუთხითა თუ სისრულით განიხილეს და ძველი გავაზის ისტორიის შესახებ მთელი რიგი საინტერესო მოსაზრებები გამოთქვეს.¹⁰

დასახელებულ მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ ძველი გავაზი წერილობით წყაროებში პირველად IX-X საუკუნეების მოვლენებთან დაკავშირებით იხსენიება. ანონიმი ქართველი ისტორიკოსის მიერ XI საუკუნეში შედგენილი თხზულება „მატიანე ქართლისა“, დაახლოებით, 840-841 წლების ამბების გადმოცემისას, მოგვითხრობს, რომ გავაზთან გაიმართა ბრძოლა, რომელშიც „გარდაბანელებმა“ ანუ კახეთის ქორეპისკოპოს სამოელ დონაურის რაზმებმა არაბი სარდლის ხალიდ იბნ იაზიდის ლაშქარი დაამარცხეს:

„და შემდგომად ამისსა დასუეს ქორეპისკოპოსად სამოელ დონაური. კუალად მეორედ მოვიდა იგივე ხალილ არაბი. შეებნეს გარდაბანელნი გავაზს. და გააქციეს ხალილ, და მოსწყდა სიმრავლე ფრიადი.“¹¹

გარდა ამისა, იგივე „მატიანე ქართლისა“, დაახლოებით, 915-918 წლების ამბების გადმოცემისას, გვაუწყებს, რომ, ერთი მხრივ, აფხაზთა მეფე კონსტანტინე III-სა (893-922 წწ.) და კახეთის ქორეპისკოპოს კვირიკე I-ს

⁸ იქვე, გვ. 75-80.

⁹ ჭილაშვილი, *ძველი გავაზი*, გვ. 81-89.

¹⁰ ჭილაშვილი, *ძველი გავაზი*, გვ. 6-10; (ქსე) *გავაზი*, გვ. 623; (სე) *გავაზი*, გვ. 532; (ქცტლ) *გავაზი*, გვ. 130-132; (სიკძა) *ახარხოველი*, გვ. 353-354.

¹¹ ლორთქიფანიძე (გამოც.), *მატიანე ქართლისა*, გვ. 256.

(892-918 წწ.), ხოლო, მეორე მხრივ, ჰერეთის მეფე, პატრიკოს ადარნერსე I-ს (X ს-ის I მეოთხ.) შორის დაიდო ზავი, რომლის თანახმადაც, ადარნერსე I-მა კონსტანტინე III-ს არიშისა და გავაზის ციხეები, ხოლო კვირიკე I-ს ორჭობის ციხე გადასცა:

„...მაშინ უკმო კვრიკე ქორეპისკოპოსმან კოსტანტი აფხაზთა მეფესა. ჩავიდეს ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა. აფხაზთა მეფე მოადგა ზედათ კერძო, კვრიკე – ქუემოთ. და ვითარ მისწურეს წალებად, მაშინ ადარნასე პატრიკი მოვიდა, პარასკევის ჯუარსა მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, და კვრიკეს – ორჭობი“.¹²

დღეისათვის ძველი გავაზის ტერიტორიაზე შუა საუკუნეების რამდენიმე ქართული ლაპიდარული, ფრესკული, ჰედური და ნაკაწრი წარწერაა გამოვლენილი. ამ ეპიგრაფიკულ ძეგლებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლაპიდარული წარწერა, რომელიც ამჟამად საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმშია გადატანილი და ქვის ძეგლების ფონდში 524-ე ნომრით არის დაცული.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ წარწერის აკადემიური სახით გამოცემასა და ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კუთხით შესწავლას ისახავს მიზნად.

I. ძველი გავაზის წარწერის მიკვლევა და მისი მუზეუმში გადატანა.

ძველი გავაზის წარწერის მიკვლევის საკითხს სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად თეიმურაზ ბარნაველი შეეხო. მკვლევარმა 1961 წელს დაბეჭდილ წიგნში „კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები“ აღნიშნა, რომ „დაახლოებით 1919 წელს გ. ჩუბინაშვილს უნახავს წარწერიანი ქვა, რომელიც წამოღებული ყოფილა ნაბაზრევის ეკლესიის ნანგრევებიდან“.¹³

სამწუხაროდ, თეიმურაზ ბარნაველს არ განუმარტავს, თუ რა მონაცემებს ეყრდნობოდა, როდესაც აღნიშნავდა, რომ გიორგი ჩუბინაშვილმა ძველი გავაზის წარწერას, დაახლოებით, 1919 წელს მიაკვლია – რაიმე წერილობით ტექსტს თუ ზეპირ ცნობას. გარდა ამისა, მკვლევარს არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, თუ ვინ, როდის, სად ან რატომ წამოიღო წარწერა „ნაბაზრევის ეკლესიის ნანგრევებიდან“ და სად ან რა ვითარებაში ნახა ეს წარწერა გიორგი

¹² ლორთქიფანიძე (გამოც.), *მადიანე ქართლისა*, გვ. 260-261.

¹³ ბარნაველი (გამოც.), *კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები*, გვ. 116.

ჩუბინაშვილმა. დასასრულ, თეიმურაზ ბარნაველს არ დაუკონკრეტებია, თუ ძველი გავაზის დღეისათვის ცნობილ რამდენიმე ტაძარს შორის, სახელდობრ, რომელს ვულისხმობდა „ნაბაზრევის ეკლესიაში“ და რა ინფორმაციას ფლობდა ამ ტაძრის „ნანგრევების“ შესახებ.

ძველი გავაზის წარწერის მიკვლევის საკითხით თეიმურაზ ბარნაველის შემდეგ ლევან ჭილაშვილი დაინტერესდა. მიკვლევარმა, ერთი მხრივ, გაიმეორა თეიმურაზ ბარნაველის მიერ მოწოდებული ცნობები, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ცნობებში ორი მცირე დაზუსტება შეიტანა: 1. გიორგი ჩუბინაშვილმა წარწერა ქვების გროვაში ნახა; და 2. წარწერა ნაბაზრალის ტერიტორიაზე შემთხვევით იყო აღმოჩენილი.¹⁴

სამწუხაროდ, ლევან ჭილაშვილს არ განუმარტავს, თუ რას ეყრდნობოდა აღნიშნული დაზუსტებებისას – რაიმე წერილობით ტექსტს თუ ზეპირ ცნობას. არ არის გამორიცხული, რომ ლევან ჭილაშვილი წარწერის მიკვლევაზე საუბრისას მხოლოდ თეიმურაზ ბარნაველის ცნობებს ემყარებოდა და მისი დაზუსტებებიც მთლიანად ამ ცნობების თავისუფალი ინტერპრეტაციის შედეგი იყო.

ძველი გავაზის წარწერის მუზეუმში გადატანის საკითხს პირველად თეიმურაზ ბარნაველი შეეხო. მიკვლევარმა აღნიშნა, რომ „წარწერა მასწავლებელ ი. ბეროშვილის მიერ, რომელსაც იგი უკვე მთლად გაცვეთილი უპოვია, გადაცემულია საქართველოს სახ. მუზეუმში“.¹⁵

სამწუხაროდ, თეიმურაზ ბარნაველს არც ამ შემთხვევაში განუმარტავს, თუ რა მონაცემებს ეყრდნობოდა, როდესაც აღნიშნავდა, რომ „ი. ბეროშვილმა“ ანუ სოფელ ახალსოფლის მკვიდრმა, ცნობილმა პედაგოგმა და პოეტმა ილო ბეროშვილმა მის მიერ ნაპოვნი წარწერა მუზეუმს გადასცა – რაიმე წერილობით ტექსტს თუ ზეპირ ცნობას. გარდა ამისა, მიკვლევარს არც იმის თაობაზე უთქვამს რამე, თუ როდის, სად ან რა ვითარებაში იპოვა წარწერა ილო ბეროშვილმა და ვინ ან როდის ჩამოიტანა ის მუზეუმში.

ძველი გავაზის წარწერის მუზეუმში გადატანის საკითხს თეიმურაზ ბარნაველის შემდეგ ლევან ჭილაშვილიც შეეხო. მიკვლევარმა თეიმურაზ ბარნაველის ცნობები, პრაქტიკულად, უცვლელი სახით გაიმეორა და მხოლოდ ის დააზუსტა, რომ წარწერა მუზეუმში უშუალოდ ილო ბეროშვილმა ჩამოიტანა.¹⁶

ძველი გავაზის წარწერის მიკვლევის ადგილისა და მისი მუზეუმში

¹⁴ ჭილაშვილი, *ძველი გავაზი*, გვ. 37.

¹⁵ ბარნაველი (გამოც.), *კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები*, გვ. 117.

¹⁶ ჭილაშვილი, *ძველი გავაზი*, გვ. 37.

გადატანის დროის შესახებ ძალზედ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მუზეუმის ქვის ძეგლების ფონდის საინვენტარო დავთარი №2, რომლის 38-ე ფურცლის verso-სა და 39-ე ფურცლის recto-ზე ჩვენთვის საინტერესო წარწერასთან დაკავშირებით, ჩაწერილია შემდეგი ტექსტი: „ოთხკუთხა მოყვანილობის ფილი, ორად გატეხილი. [----] | ნატეხი ქვემოდან მრგვლად შეჭრილია. | ზომები: სიგრძე – 0,72, სიგანე – 0,35, სისქე – 0,11. | ქვის ზედაპირზე მოთავსებულია 5 სტრიქონიანი ასომ|თავრული წარწერა. ^{38v||39r} ჩამოტანილია 1957 წელს ნადარბაზვის ეკლესიის | ნანგრევებიდან (ძველი გავაზის მიდამოები. ყვარლის რ.)“.¹⁷

საინვენტარო წიგნის ციტირებული ჩანაწერი, პირველ ყოვლისა, საშუალებას გვაძლევს, საბოლოოდ გავარკვიოთ, თუ ძველი გავაზის რომელ უბანში იქნა მიკვლევული წარწერა. ჩანაწერიდან დგინდება, რომ წარწერა ნაპოვნი იყო ნადარბაზვის, იგივე დარბაზოვანის, უბანში და არა ნაბაზრევის, იგივე, ნაბაზრალის უბანში, როგორც ამას თეიმურაზ ბარნაველი და ლევან ჭილაშვილი აღნიშნავენ.

გარდა ამისა, ციტირებული ჩანაწერი საშუალებას გვაძლევს, საბოლოოდ გავარკვიოთ ისიც, თუ ძველი გავაზის რომელი ეკლესიის ნანგრევებში იქნა მიკვლევული წარწერა. ჩანაწერიდან ვიგებთ, რომ წარწერა ნადარბაზვის, იგივე დარბაზოვანის ტაძრის ნანგრევებში აღმოჩნდა. ხოლო ვინაიდან ამ უბანში მხოლოდ ერთი ეკლესია – თავწმინდა გიორგის ტაძარია გამოვლენილი, დგინდება, რომ წარწერა სწორედ ამ ეკლესიის ნანგრევებში იყო ნაპოვნი.

საინვენტარო წიგნის ციტირებული ჩანაწერი, წარწერის მიკვლევის ადგილის გარდა, მისი მუზეუმში გადატანის დროის შესახებაც გვაწვდის ცნობას. ჩანაწერში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ წარწერა მუზეუმში 1957 წელს გადაიტანეს.¹⁸

მაშასადამე, ძველი გავაზის წარწერის მიკვლევისა და მისი მუზეუმში გადატანის ისტორია შემდეგი სახით შეგვიძლია აღვადგინოთ: დაახლოებით, 1919 წელს წარწერა გიორგი ჩუბინაშვილმა ძველი გავაზის დარბაზოვანის

¹⁷ (სემსჯსსმ) ქვის ძეგლ. ფონდი, საინვ. დავთარი #2, ფ. 38v-39r.

¹⁸ ძველი გავაზის წარწერის მუზეუმში გადატანის ზუსტი დროის დადგენის შემდეგ გასაგები ხდება, თუ რატომ არ არის შეტანილი მის შესახებ ინფორმაცია ანა ბაქრაძისა და სიმონ ბოლქვაძის მიერ შედგენილ წიგნში „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი“ (ბაქრაძე, ბოლქვაძე (გამოც.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი*). ეს წიგნი 1953 წელს დაიბეჭდა, ხოლო წარწერა ცოტა უფრო მოგვიანებით, 1957 წელს გადაიტანეს მუზეუმში.

უბანში მდებარე თავწმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევებში იპოვა.¹⁹ მოგვიანებით, 1957 წელს, წარწერა იმავე თავწმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევებში ნახა ილო ბეროშვილმა, რომელმაც ის, დაცვის მიზნით, თბილისში ჩამოიტანა და მუზეუმს გადასცა.

II. ძველი გავაზის წარწერის სამეცნიერო შესწავლის ისტორია

ძველი გავაზის წარწერის სამეცნიერო შესწავლის საქმეს თეიმურაზ ბარნაველმა ჩაუყარა საფუძველი. მკვლევრის თქმით, იგი წარწერასთან დაკავშირებულ საკითხებს პირველად 1957 წელს ქალაქ თელავში გამართულ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში შეეხო.²⁰

ძველი გავაზის წარწერის სამეცნიერო შესწავლის ისტორიის სრულად რეკონსტრუირების მიზნით, სპეციალურად გავეცანი ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებათა თეზისებს. აღმოჩნდა, რომ თეიმურაზ ბარნაველმა სესიაზე ნამდვილად წაიკითხა მოხსენება „კახეთის ზოგიერთი ეპიგრაფიკული ძეგლი“, თუმცა ამ მოხსენების თეზისებში მხოლოდ იყალთოს, აკურას, ხირსას, ოზაანის, ალავერდის, კუნტუზისა და თოდას წარწერებზეა საუბარი, ძველი გავაზის წარწერა კი საერთოდ არ არის ნახსენები.²¹

ის გარემოება, რომ თეიმურაზ ბარნაველის მიერ 1957 წელს წაკითხული მოხსენების თეზისებში ძველი გავაზის წარწერა საერთოდ არ არის ნახსენები, ლოგიკურად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ მკვლევარი მოხსენებაში ძველი

¹⁹ გიორგი ჩუბინაშვილის მიერ ძველი გავაზის წარწერის მიკვლევასთან დაკავშირებული მთელი რიგი ზოგადი თუ ბუნდოვანი საკითხების დაზუსტების მიზნით, საგანგებოდ გავეცანი მკვლევრის მიერ 1959 წელს გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ ნაშრომს *Архитектура Кახети*, რომლის ერთ-ერთი ნაკვეთი მთლიანად ძველი გავაზის ღმრთისმშობლის ეკლესიის შესწავლას ეთმობა (Чубинашвили, *Архитектура Кახети*, стр. 216-231). სამწუხაროდ, ამ ნაშრომში ჩვენთვის საინტერესო წარწერის შესახებ რაიმე ინფორმაციას ვერ მივაკვლიე. გარდა ამისა, გავეცანი გიორგი ჩუბინაშვილის ზოგიერთ სხვა ნაშრომსაც, რომლებშიც, შესაძლოა, წარწერის შესახებ ინფორმაცია ყოფილიყო შეტანილი, თუმცა ამ მიმართულებით მუშაობაც უშედეგო აღმოჩნდა. იმედია, სამომავლო კვლევა-ძიება გიორგი ჩუბინაშვილის მიერ წარწერის მიკვლევასთან დაკავშირებულ ახალ ინფორმაციას გამოავლენს და ჩვენც ამ საკითხის შესახებ ბევრად უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება.

²⁰ ბარნაველი (გამოც.), *კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები*, გვ. 116.

²¹ ბარნაველი, „კახეთის ზოგიერთი ეპიგრაფიკული ძეგლი“, გვ. 8.

გავაზის წარწერასთან დაკავშირებულ საკითხებს მხოლოდ გაკვრით შეეხო და შესაბამისად, მოხსენების თეზისებში ამ წარწერის დასახელება საჭიროდ აღარ მიიჩნია.

თეიმურაზ ბარნაველმა მოხსენების წაკითხვიდან მცირე ხნის შემდეგ, 1961 წელს, გამოაქვეყნა ზემოთ უკვე ნახსენები წიგნი, რომლის ერთი ნაკვეთიც მთლიანად ძველი გავაზის წარწერას დაუთმო.

თეიმურაზ ბარნაველი დასახელებული წიგნის ძველი გავაზის წარწერისადმი მიძღვნილი ნაკვეთის პირველ ნაწილში მოკლედ შეეხო გიორგი ჩუბინაშვილის მიერ 1919 წელს წარწერის მიკვლევის, ილო ბეროშვილის მიერ წარწერის ხელმეორედ პოვნისა და მისსავე მიერ წარწერის მუზეუმში გადატანის საკითხებს (ამის შესახებ ვრცლად იხ. ზემოთ). ამის შემდეგ მკვლევარმა მოიტანა წარწერის შავ-თეთრი ფოტო, გადაღების დროსა და ფოტოს ავტორის ვინაობაზე მითითების გარეშე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარწერის ტექსტი არა უშუალოდ ორიგინალიდან, არამედ მოხმობილი ფოტოდან წაიკითხა. დასასრულ, თეიმურაზ ბარნაველმა წარწერის შემცველი ქვის ფილის დანიშნულებაზე გაამახვილა ყურადღება და გამოთქვა მოსაზრება, რომ ქვა „სარკმლის გვირგვინს“ უნდა წარმოადგენდეს: „წარწერიდან გადაღებულია ფოტოსურათი, რომლის მიხედვითაც ვიძლევი წარწერის შინაარს. ქვა უნდა წარმოადგენდეს სარკმლის გვირგვინს“.²²

თეიმურაზ ბარნაველის წიგნის ძველი გავაზის წარწერისადმი მიძღვნილი ნაკვეთის მეორე ნაწილი მთლიანად წარწერის პუბლიკაციას ეთმობა. აქ წარმოდგენილია შემდეგი ინფორმაცია:

1. ცნობები წარწერის სტრიქონების რაოდენობის, დამწერლობის ტიპისა და გრაფემათა მოხაზულობის შესახებ: „წარწერა ხუთსტრიქონიანია, შესრულებულია ასომთავრულით. ასოების მოხაზულობა მკაცრია“.

2. წარწერის თარიღი: 1025 წელი.

3. წარწერის ტექსტის გადმონაწერი დედნის შრიფტის დაცვით:

„[+] ოხნი 1025 წწ. 1025 წწ.“

წ-ზე ოც სწოხწა წწს 1[ხ]

1025 წწ. 1025 წწ.

1025 წწ. 1025 წწ.

1025 წწ. 1025 წწ.“.

4. წარწერის ტექსტის წაკითხვა, ქარაგმების გახსნითა და დაზიანებული

²² ბარნაველი (გამოც.), *კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები*, გვ. 116-117, სურ. 46.

ადგილების აღდგენით: „ქორონიკონი დეო სმე (245+780=1025 წ.). ქრისტე ადიდე მ... ლე და სავლაჲ ამის ეკლესიის ამშენებელნი. და მლოცველი მათი ღთორ (?) [შეიწყალე], ამინ; და იოანე გალატ[ოზი] [შეიწყალე]!“.

5. მოკლე მსჯელობა წარწერაში მოხსენიებული ქტიტორებისა და გალატოზის შესახებ: „წარწერაში მოხსენიებული კტიტორების „მ... ლე.“-ს და „სავლაჲ“ს ვინაობა გაურკვეველი რჩება. წარწერიდან ირკვევა XI ს. კიდევ ერთი ქართველი ხუროთმოძღვრის სახელი – იოანე“.²³

თეიმურაზ ბარნაველის შემდეგ ძველი გაგაზის წარწერასთან დაკავშირებული საკითხები ლევან ჭილაშვილმა განიხილა. მკვლევარი ამ საკითხებს 1975 წელს გამოქვეყნებულ, ზემოთ უკვე ნახსენებ წიგნში შეეხო. ლევან ჭილაშვილმა კვლევის პირველ ეტაპზე, სრულად გაიმეორა თეიმურაზ ბარნაველის ცნობები გიორგი ჩუბინაშვილის მიერ 1919 წელს ნაბაზრევის, იგივე ნაბაზრალის ტერიტორიაზე წარწერის მიკვლევის, ილო ბეროშვილის მიერ წარწერის ხელმეორედ პოვნისა და მისსავე მიერ წარწერის მუზეუმში გადატანის შესახებ. გარდა ამისა, ლევან ჭილაშვილმა თითქმის უცვლელი სახით მოიტანა თეიმურაზ ბარნაველის ცნობები წარწერის სტრიქონების რაოდენობის, დამწერლობის ტიპისა და თარიღის შესახებ, აგრეთვე, წარწერის თეიმურაზ ბარნაველის წაკითხვა და ამ უკანასკნელის მიერ გამოთქმული მოსაზრება წარწერაში მოხსენიებული პირების შესახებ.²⁴

ლევან ჭილაშვილმა ძველი გაგაზის წარწერასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მეორე ეტაპზე წარწერის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. მკვლევარმა გამოთქვა ვარაუდი, რომ მართალია, წარწერაში მოხსენიებული ეკლესიის გამოვლენა და შესწავლა ვერ მოხერხდა, მაგრამ თავად ფაქტი, რომ 1025 წელს ნაბაზრალის ტერიტორიაზე ტაძარი ააგეს და წარწერით შეამკეს, უნდა მიუთითებდეს, რომ ეს ეკლესია დიდი მნიშვნელობის ძველი იყო. გარდა ამისა, ლევან ჭილაშვილმა ივარაუდა ისიც, რომ ნაბაზრალის მოსახლეობა, მთლიანად ან ნაწილობრივ, სწორედ წარწერაში მოხსენიებული ტაძრის სამწყსო უნდა ყოფილიყო: „აღნიშნული წარწერის მოკლე, თანაც დაზიანებული ტექსტის მიხედვით რა თქმა უნდა, ძნელია მსჯელობა ტაძრის რაობასა და მნიშვნელობაზე, მით უმეტეს, რომ თვით ნაგებობა არაა მიგნებული და შესწავლილი. ერთი რამ ცხადია: XI საუკუნის დასაწყისში აქ ეკლესიის აგება არ უნდა იყოს ისეთი მოვლენა, რომლის ახსნაც უბრალო შემთხვევითობას შეიძლებოდა მიეწეროს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კახეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები

²³ ბარნაველი (გამოც.), *კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები*, გვ. 117.

²⁴ ჭილაშვილი, *ძველი გაგაზი*, გვ. 37.

წარწერების მხრივ მეტად ძუნწად არიან გამოჩინებული, ზემოაღნიშნული მოკლე წარწერა, არ არის გამორიცხული, დიდი მნიშვნელობის ძეგლს ამკობდა. მაშასადამე, ერთი მთავარი და მყარი კომპონენტი ძლიერი დასახლებისა, თუმცა არაზუსტი ადგილმდებარეობით, მიგნებულია. ბუნებრივია, ეკლესიის არსებობა სათანადო სამწყსოს გულისხმობდა და ის ბაზრის (ნაბაზრალის) მოსახლეობას მთლიანად თუ ნაწილობრივ მოიცავდა“.²⁵

თეიმურაზ ბარნაველისა და ლევან ჭილაშვილის შემდეგ ძველი გავაზის წარწერას სხვა მკვლევრებიც შეეხნენ, თუმცა ისინი, ძირითადად, თეიმურაზ ბარნაველის მიერ წაკითხული ტექსტის ციტირებითა და/ან მის მიერ გამოთქმული მოსაზრებების გამეორებით შემოიფარგლნენ.²⁶

ძველი გავაზის წარწერით სულ ბოლოს მაია მიქაუტაძე დაინტერესდა. მკვლევარმა 2021 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „შუა საუკუნეების კახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების ენობრივი თავისებურებანი“, კახეთში გამოვლენილი წარწერები ფონეტიკურ-ფონოლოგიური კუთხით შეისწავლა და ამ წარწერებს შორის, ძველი გავაზის წარწერაც განიხილა.

მაია მიქაუტაძე ძველი გავაზის წარწერაზე მუშაობისას ამ წარწერის თეიმურაზ ბარნაველის წაკითხვას დაეყრდნო და ა-ს შემცველ დამავალ დიფთონგებზე ანუ ერთ მარცვლად შერწყმულ ორ ხმოვანზე საუბრისას, ორი მოსაზრება გამოთქვა: 1. წარწერაში, კახეთის განხილული ეპიგრაფიკული ძეგლების 72%-ის მსგავსად, ა სახელობითი ბრუნვის ნიშნად ფიქსირდება V-# პოზიციაში: „ქრისტე ადიდე სავლაა“; და 2. წარწერაში ი გვხვდება #-V პოზიციაში: „იოანე“, მაშინ, როცა კახეთის განხილული ეპიგრაფიკული ძეგლების 53%-ში, იმავე პოზიციაში, ი-ს ნაცვლად ა ფიქსირდება: „აწსუ ქრისტე“, „მეოხებითა დოვანესა“ და სხვ.²⁷

ძველი გავაზის წარწერა 2022 წლის სექტემბერში შევისწავლე. წინამდებარე ნაშრომში სწორედ ამ კვლევა-ძიების შედეგებს წარმოვადგენ.

²⁵ ჭილაშვილი, *ძველი გავაზი*, გვ. 37. უდრ.: (ქსე) *გავაზი*, გვ. 623; (სე) *გავაზი*, გვ. 532.

²⁶ თუმანიშვილი და სხვ., *მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების*, გვ. 251; (ქცტლ) *გავაზი*, გვ. 131; (სიკძა) *ახარისოფელი*, გვ. 353-354; და სხვ.

²⁷ მიქაუტაძე, „შუა საუკუნეების კახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების ენობრივი თავისებურებანი“, გვ. 85-86.

III. ძველი გავაზის წარწერის აკადემიური გამოცემა

ძველი გავაზის წარწერა უშუალოდ ორიგინალზე დაყრდნობით არასოდეს ყოფილა გამოცემული. ამ მიზეზის გამო, სამეცნიერო საზოგადოება წარწერის ციტირებისას თუ განხილვისას იყენებდა მხოლოდ ტექსტის 1961 წლის, თეიმურაზ ბარნაველის პუბლიკაციას, რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ ზემოთ, დაუდგენელ პერიოდში დაუდგენელი პირის მიერ გადაღებულ შავ-თეთრ ფოტოზე იყო დამყარებული.

წინამდებარე ნაშრომში ძველი გავაზის წარწერას უშუალოდ ორიგინალზე დაყრდნობით ვაქვეყნებ. უფრო ზუსტად კი, ნაშრომში წარმოვადგენ: 1. წარწერის ტექნიკურ აღწერილობას; 2. ინფორმაციას წარწერის ადრეული გამოცემების შესახებ; 3. წარწერის ფოტოს; 4. წარწერის პალეოგრაფიულ პირს; 5. წარწერის ტექსტის გადმონაწერს, ორიგინალის შრიფტის დაცვით; 6. წარწერის ტექსტის ჩემეულ წაკითხვას; და 7. წარწერის ერთ-ერთი სიტყვის წაკითხვასთან დაკავშირებულ მსჯელობას.

წარწერა ამოკვეთილია მოთეთრო-მოყვითალო ფერის სწორკუთხა მოყვანილობის, ორად გატეხილ ქვის ფილაზე, რომელიც სარკმლის თავსართს წარმოადგენდა. ქვის ფილის ზომებია: სიგანე – 74,5 სმ, სიმაღლე – 36,5 სმ, ხოლო სისქე – 11 სმ. ტექსტის შემორჩენილი ნაწილის საერთო ფართობი 71,5 X 31,5 სმ-ია. წარწერა ხუთ სტრიქონს შეიცავს. ტექსტი ასომთავრული დამწერლობით არის გადმოცემული. წარწერის ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი ასო-ნიშნების ზომებია: I სტრიქონის მეორე გრაფემა ႁ (რ) – 5,5 სმ და V სტრიქონის მეათე გრაფემა ႒ (ლ) – 2,7 სმ. წარწერაში ქარაგმად სწორი განივი ხაზია გამოყენებული. ტექსტში განკვეთილობის ნიშნები არ გვხვდება. რამდენიმე გრაფემას მკაფიოდ გამოსატული კიდურწერტილოვნება ახასიათებს. წარწერაში ბგერა ი, ერთ შემთხვევაში, გრაფემა ႑-ს (ა) საშუალებით არის გადმოცემული. რამდენიმე გრაფემა, აგრეთვე, ქარაგმის ნიშნების ნაწილი, ქვის ფილის ორად გატეხვისა და ზედაპირის გადაცვეთის გამო, მთლიანად ან ნაწილობრივ არის დაკარგული. ნაკლები გრაფემები მათი შემორჩენილი ფრაგმენტებისა და კონტექსტის მიხედვით მაქვს აღდგენილი.

წარწერა უშუალოდ ორიგინალზე დაყრდნობით, გამოქვეყნებული არ ყოფილა. არსებობს წარწერის 1961 წლის გამოცემა, რომელიც, სავარაუდოდ, გიორგი ჩუბინაშვილის მიერ გადაღებულ 1919 წლის ფოტოზეა

„ქრ(ონი)კ(ო)ნი დყო სმგ (246+780=1026 წ.).

ქ(რისტ)ე, ა(დი)დ(ენ) | მ(ე)ფ(ენი) – კ{ვრიკ}ე და საპლაჲ, ამის ეკლესიისა მ{ა}შ{ე}ნ{ე}ბელნი და მლ{ო}ცველი მ(ა)თი ღ(მერ)თმ(ა)ნ შ(ეიწყალე)[ნ], | ა(მე)ნ.

და ი(ოვა)ნე გალ(ა)ტ(ო)[ზი] [შ(ეიწყალე)ნ]“.

ძველი გავაზის წარწერის ჩემეული წაკითხვის მოხმობის შემდეგ აუცილებლად უნდა შევეხო ერთ მნიშვნელოვან საკითხს. წარწერის მე-2 სტრიქონის დასაწყისში წარმოდგენილია დაქარაგმებული სიტყვა „მფ“, რომელიც შეგვიძლია წავიკითხოთ ორი სახით: როგორც „მ(ე)ფ(ე)“ ან როგორც „მ(ე)ფ(ენი)“.

ამ სიტყვის მართებულ წაკითხვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძველი გავაზის წარწერის შინაარსის სწორად გააზრებისათვის. მართლაც, თუკი განსახილველ სიტყვას „მ(ე)ფ(ე)“-ს ფორმით წავიკითხავთ, მაშინ გამოვა, რომ წარწერის მე-2 სტრიქონზე გვერდიგვერდ დასახელებულ ორ პირს შორის პირველი პირი მოხსენიებულია სახელითა და მეფის ტიტულით, ხოლო მეორე პირი – მხოლოდ სახელით, ყოველგვარი ტიტულისა და სამოხელეო წოდების, აგრეთვე, მეფისადმი ნათესაურ თუ რაიმე სხვა სახის კავშირზე მითითების გარეშე: „ქ(რისტ)ე, ა(დი)დ(ენ) მ(ე)ფ(ე) კ{ვრიკ}ე და საპლაჲ“. რაც შეეხება განსახილველი სიტყვის წაკითხვის მეორე შესაძლო ვარიანტს, თუ ამ სიტყვას „მ(ე)ფ(ენი)“-ს ფორმით წავიკითხავთ, მაშინ გამოვა, რომ წარწერის მე-2 სტრიქონზე გვერდიგვერდ დასახელებული ორივე პირი მეფის ტიტულით იხსენიება: „ქ(რისტ)ე, ა(დი)დ(ენ) მ(ე)ფ(ენი) – კ{ვრიკ}ე და საპლაჲ“.

ძველი გავაზის წარწერის განსახილველი სიტყვის სწორად წაკითხვის მიზნით, დეტალურად შევისწავლე შუა საუკუნეების ის მრავალრიცხოვანი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებშიც მეფეები არიან მოხსენიებული. წარწერების დეტალურმა ანალიზმა, პირველ ყოვლისა, აჩვენა, რომ უკლებლივ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ტექსტში მეფის გვერდით ერთი ან რამდენიმე პირია დასახელებული, ამ პირებთან აუცილებლად არის მითითებული რაიმე დამატებითი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია: მათი ტიტული, სამოხელეო წოდება, ცნობა მეფესთან ნათესაური კავშირის შესახებ და სხვ. გარდა ამისა, საკვლევად აღებული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლამ აჩვენა ისიც, რომ ამ წარწერებში საერთოდ არ გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც მეფის გვერდით ნახსენები, მით უფრო კი, მასთან მიჯრით დასახელებული, პირისა თუ პირების შესახებ ტექსტში რაიმე დამატებითი მაიდენტიფიცირებელი

ინფორმაცია მითითებული არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ძველი გავაზის წარწერის მე-2 სტრიქონის დასაწყისში წარმოდგენილი დაქარაგმებული სიტყვა „მფ“-ს წაკითხვის ორ შესაძლო ვარიანტს შორის, შუა საუკუნეების ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების ჩვენებათა გათვალისწინებით, მეორე ვარიანტს მივეცი უპირატესობა, განსახილველი სიტყვა „მ(ე)ფ(ენი)“-ს ფორმით წავიკითხე და წარწერის შესაბამისი ფრაგმენტის ტექსტი შემდეგი სახით დავადგინე: „ქ(რისტ)ე, ა(დი)დ(ენ) მ(ე)ფ(ენი) – კ(კრიკ)ე და საჰლაჲ“.

IV. ძველი გავაზის წარწერის შინაარსი

ძველი გავაზის წარწერა ტიპოლოგიურად სავედრებელი წარწერების ჯგუფს მიეკუთვნება. წარწერაში, შინაარსის თვალსაზრისით, ოთხი ფრაგმენტი გამოიყოფა.

ძველი გავაზის წარწერის პირველი ფრაგმენტი თარიღზე მითითებას შეიცავს. ტექსტში ნათქვამია, რომ წარწერა 246-ე ქრონიკონს ანუ ქრისტეშობიდან 1026 წელს იყო ამოკვეთილი: „ქრონიკონი ფყო სმჳ (1026 წ.)“.

ძველი გავაზის წარწერის მეორე, ძირითადი ფრაგმენტი ქტიტორთა სავედრებელს წარმოადგენს. ტექსტის ამ ნაწილში ქრისტეს მეფეების – კვირიკესა და საჰლას განდიდებას შესთხოვენ და იქვე, აღნიშნავენ, რომ კვირიკე და საჰლა წარწერის შემცველი ტაძრის აღმშენებლები იყვნენ: „ქრისტე, ადიდენ მეფენი – კვირიკე და საჰლაჲ, ამის ეკლესიისა მაშენებელნი“.

ძველი გავაზის წარწერის მომდევნო, მესამე ფრაგმენტი, მეორე ფრაგმენტის მსგავსად, სავედრებელ ტექსტს შეიცავს. ოღონდ აქ უფალს ქტიტორთათვის ლოცვის აღმკვლეველი პირების შეწყალებას შესთხოვენ: „და მლოცველი მათი ღმერთმან შეიწყალე[ნ], ამენ“.

ძველი გავაზის წარწერის ბოლო, მეოთხე ფრაგმენტი, აგრეთვე, სავედრებელს წარმოადგენს. ტექსტის ამ ნაწილში უფალს იოვანე გალატოზის ანუ წარწერის შემცველი ეკლესიის მაშენებელი ქვითხუროს შეწყალებისათვის ევედრებიან: „და იოვანე გალატო[ზი] [შეიწყალენ]“.

V. ძველი გავაზის წარწერის დათარიღება

ძველი გავაზის წარწერის ქრონოლოგიის საკითხი აქამდე მხოლოდ თეიმურაზ ბარნაველმა შეისწავლა. მკვლევარმა წარწერაში მითითებული

ქრონიკონის რიცხვი ამოიკითხა, როგორც „სმე“ ანუ 245, ეს რიცხვი ქრონიკონული წელთაღრიცხვის XII მოქცევის დასასრულიდან ანუ 780 წლიდან ათვალა და საბოლოოდ, წარწერა ქრისტეშობიდან 1025 წლით დაათარიღა ($245+780=1025$ წ.).²⁹

დღეისათვის ძველი გავაზის წარწერის თეიმურაზ ბარნაველის დათარიღება სამეცნიერო ლიტერატურაში სრულად არის გაზიარებული.

ძველი გავაზის წარწერის შესწავლა აჩვენებს, რომ თეიმურაზ ბარნაველის დათარიღება, არსებითად, სწორია და მხოლოდ მცირე დაზუსტებას საჭიროებს. კერძოდ, წარწერაში მითითებული ქრონიკონის რიცხვი, სინამდვილეში, იკითხება არა, როგორც „სმე“ ანუ 245, არამედ, როგორც „სმვ“ ანუ 246, რაც, თავის მხრივ, ქრისტეშობიდან 1026 წელს შეესაბამება.

მაშასადამე, დგინდება, რომ ძველი გავაზის წარწერა თარიღდება 1026 წლით ($246+780=1026$ წ.) და არა 1025 წლით, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე იყო მიღებული.

VI. ძველი გავაზის წარწერაში მოხსენიებული პირები

ძველი გავაზის წარწერაში სახელით მხოლოდ სამი პირია მოხსენიებული. ქვემოთ თითოეულ ამ პირთან დაკავშირებულ საკითხებს ცალ-ცალკე განვიხილავ.

1. კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე III დიდი

ძველი გავაზის წარწერაში მოხსენიებული პირველი პირის შესახებ აქამდე, პრაქტიკულად, არაფერი იყო ცნობილი. თეიმურაზ ბარნაველმა წარწერის II სტრიქონის პირველი ოთხი გრაფემა წაიკითხა, როგორც „მ... ლე“, ოთხივე ეს გრაფემა წარწერაში მოხსენიებული პირველი პირის სახელად მიიჩნია და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ „მ... ლე“-ს ვინაობა გაურკვეველი იყო.³⁰

დღეისათვის ძველი გავაზის წარწერაში მოხსენიებული პირველი პირის სახელის თეიმურაზ ბარნაველის წაკითხვა და ამ პირის ვინაობის შესახებ მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრება სამეცნიერო ლიტერატურაში სრულად არის გაზიარებული.

ძველი გავაზის წარწერის ორიგინალის შესწავლა აჩვენებს, რომ

²⁹ ბარნაველი (გამოც.), *კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები*, გვ. 117.

³⁰ იქვე.

II სტრიქონის პირველი ოთხი გრაფემის თეიმურაზ ბარნაველის წაკითხვა მართებული არ არის. სინამდვილეში, წარწერის II სტრიქონის დასაწყისში წარმოდგენილია ორი ორგრაფემიანი სიტყვა – „მფ“ და „კე“, რომლებიც ქარაგმის გახსნისა და გამოტოვებული გრაფემების აღდგენის შემდეგ იკითხება, როგორც „მ(ე)ფ(ენი)“ და „კ(ვ)რიკ(ე)“: „ქ(რისტ)ე, ა(დი)დ(ენ) მ(ე)ფ(ენი) – კ(ვ)რიკ(ე)...“.

ძველი გავაზის წარწერაში მოხსენიებული მეფე კვირიკეს ვინაობის დადგენარაიმესირთულესარწარმოადგენს. წარწერის მიკვლევის რეგიონისა (ისტორიული ჰერეთი) და ამოკვეთის დროის (1026 წ.) გათვალისწინებით, ყოველგვარ ეჭვგარეშეა, რომ ტექსტში იხსენიება ცნობილი ისტორიული პირი, არეგმანელთა დინასტიის სახელოვანი წარმომადგენელი – კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე III დიდი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, სამეფო ტახტს 1010/1014-1037 წლებში ფლობდა.

ძველი გავაზის წარწერას ძალზედ დიდი მნიშვნელობა აქვს მეფე კვირიკე III-ის ცხოვრება-მოდგაწეობასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხის შესწავლისათვის. ამ საკითხებს ქვემოთ, წარწერაში მოხსენიებული მეორე პირის ვინაობისა და ცხოვრება-მოდგაწეობის, აგრეთვე, წარწერაში გადმოცემული საეკლესიო აღმშენებლობისადმი მიძღვნილ ნაკვეთებში განვიხილავ. აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ძველი გავაზის წარწერა დღეისათვის ცნობილი უძველესი ძეგლია იმ თარიღიან ან მყარად დათარიღებულ წერილობით ძეგლებს შორის, რომლებიც კვირიკე III-ის შესახებ რაიმე ინფორმაციას გვაწვდის.

მაშასადამე, დგინდება, რომ ძველი გავაზის წარწერაში მოხსენიებულია კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე III დიდი და არა ვინმე „მ... ლე“, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე იყო მიღებული.

2. კახეთ-ჰერეთის მეფე საპლა – მეფე კვირიკე III-ის ვაჟი და თანამოსაყდრე

ძველი გავაზის წარწერაში მოხსენიებული მეორე პირის შესახებ, პირველი პირის მსგავსად, აქამდე თითქმის არაფერი იყო ცნობილი. თეიმურაზ ბარნაველმა ამ პირის სახელი წაკითხა, როგორც „სავლაჲ“ და გამოთქვა მოსაზრება, რომ მისი ვინაობა გაურკვეველი იყო.³¹

დღეისათვის ძველი გავაზის წარწერაში მოხსენიებული მეორე პირის

³¹ ბარნაველი (გამოც.), *კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები*, გვ. 117.

სახელის თეიმურაზ ბარნაველის წაკითხვა და ამ პირის ვინაობის შესახებ მკვლევრის მიერ გამოთქმული მოსაზრება სამეცნიერო ლიტერატურაში სრულად არის გაზიარებული.

ძველი გავაზის წარწერის შესწავლა აჩვენებს, რომ ტექსტში მოხსენიებული მეორე პირის სახელის თეიმურაზ ბარნაველის წაკითხვა მართებული არ არის. სინამდვილეში, ეს სახელი იკითხება როგორც „საპლაა“: „ქ(რისტ)ე, ა(დი)დ(ენ) მ(ე)ფ(ენი) ... საპლაა“.

ძველი გავაზის წარწერაში დადასტურებულ სახელ „საპლაა“-ზე დაკვირვება აჩვენებს, რომ ამ ანთროპონიმში ორი ნაწილი გამოიყოფა: 1. „საპლა“, რომელიც არაბული წარმომავლობის მამაკაცის სახელია; და 2. -ა, რომელიც მაია მიქაუტაძის მოსაზრებით, სახელობითი ბრუნვის ნიშანს წარმოადგენს (იხ. ზემოთ).

ანთროპონიმ „საპლა“-სთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს ერთი საინტერესო გარემოება. ამ სახელის არაბულ ავთენტურ ფორმას „საპლ“ წარმოადგენს, თუმცა ძველი გავაზის წარწერაში მას ბოლოში -ა სუფიქსი აქვს დართული, რის შედეგადაც ეს ანთროპონიმი „საპლა“-ს ფორმით იკითხება.

საკითხის შესწავლა აჩვენებს, რომ ძველი გავაზის წარწერა გამონაკლისს არ წარმოადგენს და შუა საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში არაერთგზის გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც არაბული წარმომავლობის მამაკაცის სახელებს ბოლოში -ა სუფიქსი დაერთვის. სანიმუშოდ მოვიტან სამ მაგალითს:

1. ზემოთ უკვე ციტირებულ „მატიანე ქართლისაჲში“ 880-იანი წლების დასაწყისის მოვლენებთან დაკავშირებით, მოხსენიებულია კახეთის ქორეპისკოპოსი ფადლა არევმანელი, რომლის სახელის არაბულ ავთენტურ ფორმას „ფადლ“ წარმოადგენს: „და ვითარ მოკუდა კახთა ქორეპისკოპოსი გაბრიელ დონაური, დაჯდა ქორეპისკოპოსად ფადლა არევმანელი, კაცი ბრძენი და საქმის მეცნიერი“.³²

2. სუმბატ დავითის-ძის მიერ XI საუკუნეში შედგენილ თხზულებაში „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთაჲ“ IX საუკუნის II ნახევრის მოვლენებთან დაკავშირებით, მოხსენიებულია უფლისწული ნასრა ბაგრატიონი, რომლის სახელის არაბულ ავთენტურ ფორმას „ნასრ“ წარმოადგენს: „და ძენი უმრწემესისა აშოტის ძისა გუარამისნი ორნი: ნასრა და აშოტ“.³³

³² ლორთქიფანიძე (გამოც.), *მატიანე ქართლისაჲდ გვ.* 258.

³³ ლორთქიფანიძე (გამოც.), *სუმბატ დავითის ძე*, გვ. 365.

3. ანონიმი უამთააღმწერლის მიერ 1338 წლის შემდგომ ახლოხანებში შედგენილ „ასწლოვან მათიანეში“ XIII საუკუნის მიწურულის მოვლენებთან დაკავშირებით მოხსენიებული ქართლის ერისთავი ჰამადა სურამელი, რომლის სახელის არაბულ ავთენტურ ფორმას „ჰამად“ წარმოადგენს: „მაშინ შეკრბეს ქართლის ერისთავისა ბეგას ძისა, ჰამადას წინაშე ყოველნი ქართველნი...“.³⁴

ძველი გავაზის წარწერაში დადასტურებული ანთროპონიმი „საჰლა“ IX-XI საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა მმართველი დინასტიებისათვის უცხო სახელი არ იყო. ამ სახელს ატარებდა IX საუკუნის ცნობილი ისტორიული პირი, ჰერეთის ძლევა მოსილი მთავარი, პატრიკიოსი საჰლ სუმბატის ძე (IX ს-ის დასაწ. – დაახლ. 853 წ.), რომელმაც 822 წელს მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ალბანეთის ოლქები დაიპყრო, ამ რეგიონის მმართველ მიჰრანიდთა დინასტია ამოწყვიტა და მათი კუთვნილი არრანშაჰის ტიტული მიისაკუთრა.³⁵

ძველი გავაზის წარწერაში საჰლა, მის წინ დასახელებულ კვირიკესთან ერთად, მეფედ არის მოხსენიებული: „ქრისტე, ადიდენ მეფენი – კვირიკე და საჰლა“. აქედან, ირკვევა, რომ საჰლა კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე III-ის თანამოსაყდრე იყო.

ის ფაქტი, რომ კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე III-ს თანამოსაყდრე მეფე ჰყავდა, აქამდე ცნობილი არ იყო. ძველი გავაზის წარწერა ამ ფაქტის შესახებ უნიკალურ ცნობას გვაწვდის და გვაუწყებს, რომ 1026 წელს კახეთ-ჰერეთის სამეფოს თანამოსაყდრე მეფეები – კვირიკე III და საჰლა განაგებდნენ.

ძველი გავაზის წარწერაში პირდაპირ არ არის მითითებული, თუ რა ნათესაური კავშირი არსებობდა მეფეებს – კვირიკე III-სა და საჰლას შორის. მიუხედავად ამისა, საფიქრებელია, რომ საჰლა კვირიკე III-ის ვაჟი იყო.

მეფე კვირიკე III-ის ვაჟის შესახებ აქამდე არაფერი იყო ცნობილი. შესაბამისად, ირკვევა, რომ ძველი გავაზის წარწერა კახეთ-ჰერეთის სამეფოს ისტორიის შესახებ კიდევ ერთ უნიკალურ ცნობას გვაწვდის და გვაუწყებს, რომ კვირიკე III-ს ჰყავდა ვაჟი, რომელსაც სახელად საჰლა ერქვა.

სამწუხაროდ, შესაბამისი მასალების უქონლობის გამო, საჰლას ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვი. შემიძლია, გამოვთქვა მხოლოდ ორი მოსაზრება:

1. საჰლა 1026 წლის წინარე ხანებში დაიბადა და არაუგვიანეს 1026

³⁴ ალახანია (გამოც.), *უამთააღმწერელი*, გვ. 631.

³⁵ პაპუაშვილი, *ჰერეთის ისტორიის საკითხები*, გვ. 188; ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა“, გვ. 406, 409; და სხვ.

წლისა მამის – კვირიკე III-ის თანამოსაყდრე მეფის ტიტული მიიღო.

2. საჰლა 1026 წლის შემდგომ ახლოხანებში გარდაიცვალა და მომდევნო პერიოდის ისტორიულ პროცესებში მონაწილეობა არ მიუღია.

მეფე საჰლასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის ბოლოს აუცილებლად უნდა შევეხო კიდევ ერთ საინტერესო საკითხს.

ძველი გაგაზის წარწერიდან ვიგებთ, რომ მეფე კვირიკე III-მ, რომელიც წარმომავლობით კახეთის საქორეპისკოპოსოს მმართველთა სახლს – არვემანელთა საგვარეულოს ეკუთვნოდა, თავის ვაჟსა და ტახტის მემკვიდრეს დაარქვა სახელი, რომელიც არა მის მშობლიურ საგვარეულოში, არამედ მეზობელი სახელმწიფოს მმართველებს – ჰერეთის მეფე-მთავრებს შორის იყო დადასტურებული.

დღეისათვის კარგად არის ცნობილი, რომ ძველ არისტოკრატიულ საგვარეულოებში, პირველ ყოვლისა კი, მეფე-მთავართა სახლებში, ახალშობილთათვის სახელის შერჩევას დიდ ყურადღებას უთმობდნენ და ჩვილებს, უპირატესად, ახლო ნათესავების – პაპა-ბებიებისა თუ ბიძა-მამიდების ან კიდევ, უფრო შორეული წინაპრების – რაიმენიშნით გამორჩეული თუ წარმატებული ისტორიული პირების სახელს არქმევდნენ. სწორედ ახალშობილთათვის სახელის შერჩევის ეს ტრადიცია განაპირობებდა იმ ფაქტს, რომ ერთსა და იმავე არისტოკრატიულ საგვარეულოში ერთი ან იგივე ანთროპონიმი რამდენიმე თაობაში მეორდებოდა და ბოლოს დინასტიური სახელის მნიშვნელობას იძენდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მეფე კვირიკე III-ს თავისი ვაჟის, თანაც ტახტის მემკვიდრისათვის, კახეთის ქორეპისკოპოსოთა სახლისათვის სრულებით უცხო სახელი – საჰლა შემთხვევით არ დაურქმევია და მის ამ გადაწყვეტილებას რაღაც კონკრეტული მიზანი ჰქონდა.

იმ საკითხის გასარკვევად, თუ რა სავარაუდო მიზანს ისახავდა მეფე კვირიკე III, როდესაც თავის ვაჟს სახელად საჰლა დაარქვა, შესაბამისი პერიოდის ისტორიული რეალიების გაცნობა, პირველ ყოვლისა კი, კახეთ-ჰერეთის სამეფოს 1000-1030-იანი წლების ისტორიისათვის თვალის გადავხედა საჭირო.

კახეთ-ჰერეთის სამეფოს შექმნა მეფე კვირიკე III-ის მამის, კახეთის უკანასკნელი ქორეპისკოპოსის – დავითის (976-1009 წწ.) სახელს უკავშირდება. დავითმა, დაახლოებით, 1008-1009 წლებში, ჰერეთის მეფე ადარნერსე II-ისა და დედოფალ დინარ II-ის ვაჟის – ჰერეთის უკანასკნელი მეფის აბულალას სისუსტით ისარგებლა, ჰერი დიდებულების დახმარებით, ჰერეთის სამეფო დაიპყრო, კახეთ-ჰერეთის გაერთიანებული სახელმწიფო

შექმნა და რანთა და კახთა მეფის ტიტულის მატარებელი პირველი მონარქი გახდა. ამ ამბიდან მცირე ხნის შემდეგ მეფე დავითი გარდაიცვალა და კახეთ-ჰერეთის ხელმწიფის ტახტი მისმა ვაჟმა – კვირიკე III-მ დაიკავა. დაახლოებით, იმავე პერიოდში აფხაზთა და ქართველთა მეფე ბაგრატ III კახეთ-ჰერეთის სამეფოში შეიჭრა. მან თავდაპირველად ჰერეთი დაიპყრო და აბულალას დედა – დინარ II თან წაიყვანა. ამის შემდეგ ბაგრატ III კახეთის დაპყრობას შეუდგა. მან ორწლიანი ბრძოლების შედეგად, მთელი კახეთი დაიკავა, კვირიკე III დაატყვევა და დინარ II-ის მსგავსად, ისიც თან წაიყვანა. ამით, კახეთ-ჰერეთის სამეფომ, თავისი არსებობის პირველი, ორ-სამწლიანი პერიოდი დაასრულა და გაერთიანებული საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. 1014 წელს ბაგრატ III გარდაიცვალა და სამეფო ტახტი მისმა ვაჟმა – მეფე გიორგი I-მა (1014-1027 წწ.) დაიკავა. კახელმა და ჰერმა დიდებულებმა ბაგრატ III-ის გარდაცვალებით დაუყოვნებლივ ისარგებლეს, მის მიერ კახეთ-ჰერეთის სამართავად დადგენილი ერისთავები შეიპყრეს და თავიანთი ძველი მამულები თუ საკარგავები დაიბრუნეს. შექმნილ ვითარებაში, გიორგი I-მა საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო. მან კახეთ-ჰერეთის სამეფო აღადგინა, კვირიკე III ტყვეობიდან გაათავისუფლა, მას რანთა და კახთა მეფის ტიტული გადასცა და თავის ქვეყანაში დააბრუნა. კახეთ-ჰერეთში ჩასული კვირიკე III ერთგული ადგილობრივი არისტოკრატიული საგვარეულოების დახმარებით, აგრეთვე, ჰერ-კახ დიდებულთა ტყვეობიდან გაათავისუფლებული და მის სამსახურში ჩამდგარი ერისთავების თანადგომით, სამეფო ტახტზე განმტკიცდა და აქტიურ მოღვაწეობას შეუდგა. ამით კახეთ-ჰერეთის სამეფოს ისტორიის მეორე, თითქმის ასწლიანი პერიოდი დაიწყო. კვირიკე III კახეთ-ჰერეთის ახლად აღდგენილ სამეფოს გარდაცვალებამდე მართავდა. იგი უაღრესად წარმატებული ხელმწიფე გამოდგა. მან არამხოლოდ დააფუძნა და მოაწყო კახეთ-ჰერეთის სამეფო, არამედ ეს უკანასკნელი კავკასიის ერთ-ერთ უმძლავრეს პოლიტიკურ ერთეულად აქცია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კახეთ-ჰერეთის სამეფოს რეალურ დამფუძნებელ მონარქად არა ამ სახელმწიფოს შემქმნელი და პირველი მეფე – დავითი, არამედ ამ პოლიტიკური ერთეულის რიგით მეორე მეფე – კვირიკე III უნდა მივიჩნიოთ.³⁶

³⁶ კახეთ-ჰერეთის სახელმწიფოს დაფუძნების ისტორიული პროცესის ჩემული რეკონსტრუქცია, ნაწილობრივ, წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებს, ნაწილობრივ კი, საკუთრივ ჩემი კვლევის შედეგებს ემყარება. ეს შედეგები, სრული სახით, სხვა ნაშრომში მექნება წარმოდგენილი, წინამდებარე ნაშრომში კი მხოლოდ რამდენიმე დასკვნის მოტანით შემოვიფარგლები.

ჩემი დაკვირვებით, მეფე კვირიკე III-ს კახეთ-ჰერეთის სამეფოს დაფუძნებისა და აღმშენებლობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცია მისი ხელქვეით გაერთიანებული ორი სახელმწიფოს – კახეთის საქორეპისკოპოსოსა და ჰერეთის სამეფოს მმართველი დინასტიების ურთიერთმიმართების საკითხისათვის. მართალია, აქამდე ცნობილ წერილობით წყაროებში აღნიშნული საკითხის შესახებ რაიმე ინფორმაცია დაცული არ არის, მაგრამ შეგვიძლია, დავუშვათ, რომ კვირიკე III, რომელიც საგვარეულო წარმომავლობით კახეთის ქორეპისკოპოსთა სახლს ეკუთვნოდა, საკუთარ თავს არა ჰერეთის სამეფო ტახტის უზურპატორად, არამედ კახეთისა და ჰერეთის მმართველი დინასტიების მემკვიდრედ წარმოაჩენდა და ცდილობდა, ორივე დინასტიისათვის ჯეროვანი პატივი მიეგო. სავარაუდოდ, სწორედ ჯეროვანი პატივის მიგების გამოხატულება უნდა ყოფილიყო მისი გადაწყვეტილება, რომ თავისი ვაჟისა და ტახტის მემკვიდრისათვის ჰერეთის სამეფო დინასტიის პირველი დიდი წარმომადგენლის – საჰლ სუმბატის ძის სახელი დაერქმია. როგორც ჩანს, კვირიკე III ამ გადაწყვეტილებით, საქვეყნოდ აცხადებდა, რომ მისი ვაჟი და კახეთ-ჰერეთის მომავალი ხელმწიფე საგვარეულო წარმომავლობით კახეთის ქორეპისკოპოსთა სახლთან, ხოლო სახელით ჰერეთის მეფეთა საგვარეულოსთან იყო დაკავშირებული და მასში ორივე ამ დინასტიის ტრადიციები ერთად იყრიდა თავს.

თუ ჩემი ჰიპოთეტური ხასიათის მსჯელობა სწორია, მაშინ გამოდის, რომ მეფე კვირიკე III-მ დაახლოებით ისეთივე გადაწყვეტილება მიიღო, როგორი გადაწყვეტილებაც ცოტა ხნით უფრო ადრე ჰქონდა მიღებული მის უფროს თანამედროვეს – მეფე ბაგრატ III-მ (975-1014 წწ.), რომელმაც თავის ვაჟსა და ტახტის მემკვიდრეს სახელად გიორგი დაარქვა.

როგორც ცნობილია, მეფე ბაგრატ III, რომელიც 1000-იან წლებში აფხაზთა და ქართველთა სამეფოების გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი ახალი სახელმწიფოს – აფხაზთა და ქართველთა სამეფოს დამფუძნებელი მონარქი იყო, მამის ხაზით, ქართველთა სამეფოს მმართველ სახლს – ბაგრატიონთა საგვარეულოს ეკუთვნოდა. მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატ III, დედის ხაზით, აფხაზთა სამეფოს მმართველი სახლის – ლეონიდების საგვარეულოს ჩამომავალი იყო, იგი ცდილობდა, მასში აფხაზეთის სამეფო ტახტის უზურპატორი არ დაენახათ, საკუთარ თავს, როგორც ბაგრატიონთა, ისე ლეონიდთა დინასტიების მემკვიდრედ წარმოაჩენდა და ორივე დინასტიას ჯეროვან პატივს მიაგებდა. სწორედ ამ პატივის მიგების თვალსაჩინო გამოხატულება იყო ის ფაქტი, რომ ბაგრატ III-მ თავის ვაჟსა და ტახტის მემკვიდრეს არა მამის, მისი უერთგულესი თანამებრძოლის – მეფეთმეფე

გურგენის († 1008 წ.) სახელი, არამედ დედის მამის – ძღვევამოსილი აფხაზთა მეფის გიორგი II-ის (922-957 წწ.) სახელი დაარქვა. ბაგრატ III ამ გადაწყვეტილებით, აცხადებდა, რომ მისი ვაჟი – აფხაზთა და ქართველთა სამეფოს მომავალი ხელმწიფე საგვარეულო წარმომავლობით ქართველთა მეფეების სახლს, ხოლო სახელით აფხაზთა მეფეების საგვარეულოს უკავშირდებოდა და მასში ორივე ამ დინასტიის ტრადიციები ერთმანეთთან იყო შერწყმული.³⁷

მაშასადამე, დგინდება, რომ ძველი გავაზის წარწერაში მოხსენებულია სხვა წერილობითი წყაროებით უცნობი ისტორიული პირი, კახეთ-ჰერეთის მეფე კვირიკე III ვაჟი და თანამოსაყდრე – მეფე საჰლა და არა ვინმე „სავლაჲ“, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე იყო მიღებული.

3. გალატოზი იოვანე

ძველი გავაზის წარწერაში მოხსენიებული მესამე პირის ვინაობის საკითხი აქამდე მხოლოდ თეიმურაზ ბარნაველმა შეისწავლა. მკვლევარმა წარწერის შესაბამისი ადგილი წაიკითხა, როგორც „იოანე გალატ[ოზი]“ და გამოთქვა მოსაზრება, რომ წარწერაში XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვარი – იოანე იხსენიება.³⁸

დღეისათვის ძველი გავაზის წარწერაში მოხსენიებული მესამე პირის შესახებ თეიმურაზ ბარნაველის მიერ გამოთქმული მოსაზრება სამეცნიერო ლიტერატურაში სრულად არის გაზიარებული.

ძველი გავაზის წარწერის შესწავლა აჩვენებს, რომ თეიმურაზ ბარნაველის მოსაზრება სწორია და ტექსტში ნამდვილად XI საუკუნეში მოღვაწე ქართველი ხუროთმოძღვარი – გალატოზი იოვანეა მოხსენიებული: „და იოვანე გალატო[ზი] [შეიწყალენ]“.

თეიმურაზ ბარნაველის ამ მოსაზრებაში დაზუსტებას მხოლოდ ერთი დეტალი საჭიროებს. წარწერაში მითითებული გალატოზის დაქარაგმებული სახელი „ინ~ე“ შეგვიძლია წავიკითხოთ როგორც „ი(ო)ანე“-ს, ისე „ი(ოვა)ნე“-ს ფორმით. ამ ორ შესაძლო ფორმას შორის, მკვლევარმა პირველი ფორმა უფრო მართებულად მიიჩნია. მე განსხვავებული მოსაზრება მაქვს,

³⁷ საინტერესოა, რომ მეფე ბაგრატ III-ის მიერ ვაჟისათვის სახელი გიორგის დარქმევამდე ეს სახელი ბაგრატიონთა საგვარეულოსათვის სრულებით უცხო იყო, ბაგრატ III-ის მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილების შემდეგ კი სახელი გიორგი არა მხოლოდ შევიდა ბაგრატიონთა სამეფო სახლში, არამედ მყარად დამკვიდრდა ამ არისტოკრატიულ ოჯახში და დროთა განმავლობაში ბაგრატიონ ხელმწიფეთა ყველაზე პოპულარულ სახელადაც იქცა.

³⁸ ბარნაველი (გამოც.), *კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები*, გვ. 117.

ზემოთ მოტანილ ორ შესაძლო ვარიანტს შორის მეორე ვარიანტს ვაძლევ უპირატესობას და წარწერაში მოხსენიებულ გალატოზსაც იოვანეს ფორმით მოვიხსენიებ.

მაშასადამე, დგინდება, რომ ძველი გავაზის წარწერაში მოხსენიებულია XI საუკუნეში მოღვაწე, სხვა წყაროებით უცნობი მშენებელი ოსტატი იოვანე, რომელიც ტექსტში გალატოზად იწოდება.

VII. ძველი გავაზის წარწერა და თავწმინდა გიორგის ეკლესიის აღმშენებლობის საკითხები

ძველი გავაზის წარწერაში დასახელებულ ეკლესიასა და მის აღმშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები აქამდე მხოლოდ ლევან ჭილაშვილმა შეისწავლა. მკვლევარმა სრულად გაიზიარა თეიმურაზ ბარნაველის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ წარწერა ნაბაზრალის უბანში მდებარე ტაძრის ნანგრევებში იყო მიკვლეული და მიუხედავად იმისა, რომ ნაბაზრალის ტერიტორიაზე ეკლესია საერთოდ არ გამოვლინდა, მაინც გამოთქვა ვარაუდი, რომ ეს ტაძარი დიდი მნიშვნელობის მქონე ძველი უნდა ყოფილიყო.³⁹

როგორც ზემოთ ვნახეთ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ქვის ძეგლების ფონდის #2 საინვენტარო დავთრის ჩანაწერიდან ირკვევა, რომ ძველი გავაზის წარწერა, სინამდვილეში, არა ნაბაზრალის უბნის მიუკვლეველ ეკლესიას, არამედ დარბაზოვანის უბანში მდებარე თავწმინდა გიორგის ტაძარს ეკუთვნოდა. შესაბამისად, დგინდება ისიც, რომ წარწერაში გადმოცემული საეკლესიო აღმშენებლობის ამბავი თავწმინდა გიორგის ეკლესიას ეხება და სწორედ ამ ტაძრის ისტორიის შესწავლისათვის უნდა იქნეს გამოყენებული.

თავწმინდა გიორგის ეკლესია, რომელმაც ჩვენამდე საკმაოდ დაზიანებული სახით მოაღწია, პირველად ლევან ჭილაშვილმა 1975 წელს გამოქვეყნებულ, ზემოთ უკვე ნახსენებ წიგნში შეისწავლა. მკვლევარმა ტაძრის არქიტექტურა მოკლედ დაახასიათა, ვარაუდის სახით გამოთქვა მოსაზრება, რომ ნაგებობა არაერთგზის შერემონტებულ თუ გადააკეთებულ სამეკლესიო ბაზილიკას წარმოადგენს და ტაძარი, აგრეთვე, ვარაუდის სახით, ადრეფეოდალური ხანის ბოლო მონაკვეთით დაათარიღა. გარდა ამისა, ლევან ჭილაშვილმა ზოგადი სახით აღნიშნა, რომ ეკლესიის კედლებზე

³⁹ ჭილაშვილი, *ძველი გავაზი*, გვ. 37.

მოხატულობის ფრაგმენტები და ასომთავრული წარწერებია შემორჩენილი და გამოთქვა მოსაზრება, რომ მოხატულობაცა და წარწერებიც გვიან შუა საუკუნეებს მიეკუთვნება.⁴⁰

ლევან ჭილაშვილის შემდეგ თავწმინდა გიორგის ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხები ფლორ დევდარიანმა და თამაზ დვალმა 2013 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „თავწმინდა გიორგის ეკლესია“ შეისწავლეს. დასახელებულ მკვლევართაგან პირველმა – თამაზ დვალმა ტაძრის არქიტექტურა შეისწავლა და ლევან ჭილაშვილის მიერ ეკლესიის ხუროთმოძღვრული ტიპისა და აგების დროის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებში მნიშვნელოვანი დაზუსტებები შეიტანა. კერძოდ, მან დაადგინა, რომ ტაძარი მოგვიანებით მიდგმული სამხრეთი მინაშენის მქონე დარბაზული ტიპის ეკლესიას წარმოადგენს და IX-X საუკუნეებით თარიღდება. დასახელებულმა მეორე მკვლევარმა – ფლორ დევდარიანმა თავწმინდა გიორგის ეკლესიის მოხატულობა და მისი თანხმლები წარწერები განიხილა. მან მართებულად მიიჩნია ლევან ჭილაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ მხატვრობა და წარწერები გვიანი შუა საუკუნეებით თარიღდება და დამატებით აღნიშნა, რომ ტაძრის მოხატულობა ე. წ. ხალხურ ნაკადს მიეკუთვნება.⁴¹

როგორც ვხედავთ, ლევან ჭილაშვილის, ფლორ დევდარიანისა და თამაზ დვალის მიერ თავწმინდა გიორგის ეკლესიასთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი საბოლოოდ არის გადაწყვეტილი. მხედველობაში მაქვს ისეთი საკითხები, როგორიცაა: ტაძრის არქიტექტურული ტიპის იდენტიფიცირება, ეკლესიისა და მისი სამხრეთ მინაშენის ქრონოლოგიური ურთიერთმიმართება, ეკლესიის მოხატულობისა და მისი თანხმლები წარწერების დათარიღება და სხვ.

იმავედროულად, არსებობს თავწმინდა გიორგის ეკლესიასთან დაკავშირებული მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, რომლებიც ან საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი ან კიდევ, საერთოდ დიადაა დატოვებული. სწორედ საკითხთა ამ ჯგუფს მიეკუთვნება ტაძრის აღმშენებლობასთან დაკავშირებული სამი კონკრეტული საკითხი:

1. ეკლესიის აგების ზუსტი დრო.
2. ტაძრის ქტიტორისა თუ ქტიტორთა ვინაობა.
3. ეკლესიის მშენებელი ოსტატისა თუ ოსტატთა ვინაობა.

ძველი გავაზის წარწერა საშუალებას გვაძლევს, არგუმენტირებულად

⁴⁰ ჭილაშვილი, *ძველი გავაზი*, გვ. 79.

⁴¹ (სიკძა) *თავწმინდა გიორგის ეკლესია*, გვ. 355-358.

გადავწყვიტოთ თავწმინდა გიორგის ეკლესიის აღმშენებლობასთან დაკავშირებული სამივე ეს საკითხი. მართლაც, წარწერაზე დაყრდნობით, საბოლოოდ დგინდება შემდეგი:

1. თავწმინდა გიორგის ეკლესია 1026 წელს იყო აგებული.

2. ტაძრის ქტიტორები კახეთ-ჰერეთის მეფეები – კვირიკე III და საჰლა იყვნენ.

3. ეკლესიის ერთ-ერთი მშენებელი ოსტატი გალატოზი იოვანე იყო.

მაშასადამე, ძველი გაგაზის წარწერის დახმარებით, დგინდება, რომ თავწმინდა გიორგის ეკლესია 1026 წელს კახეთ-ჰერეთის სამეფო კარის ქტიტორობით არის აგებული და ამიტომ მისი აღმშენებლობის საკითხები XI საუკუნის I ნახევრის სხვა ქართული სამეფო აღმშენებლობების კონტექსტში უნდა იქნეს განხილული.

VIII. თავწმინდა გიორგის ეკლესიის 1026 (?) წლის სავედრებელი წარწერა ვინმე გიორგის მოხსენიებით

თავწმინდა გიორგის ეკლესიაში, გვიანი შუა საუკუნეების ფრესკული წარწერების გარდა, შემორჩენილია ერთი ლაპიდარული წარწერა, რომელიც, 1026 წლის სააღმშენებლო წარწერის მსგავსად, ტაძრის აღრეული პერიოდის ეპიგრაფიკული ძეგლების ჯგუფს მიეკუთვნება.

თავწმინდა გიორგის ეკლესიის განსახილველი ლაპიდარული წარწერა პირველად ლევან ჭილაშვილმა შეისწავლა. მკვლევარმა თავდაპირველად მიუთითა წარწერის ადგილმდებარეობა, დაასახელა ტექსტის ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები და მოიტანა წარწერის შავ-თეთრი ფოტო: „ეკლესიის ცენტრალური ნავის სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში, გარედან, იატაკიდან 2,4 მეტრზე ჩადგმულია რიყის მსხვილი ქვა (0.04 X 0.46 მ), რომელზედაც ამოკვეთილია ოთხსტრიქონიანი მრგლოვანი წარწერა (ტაბ. LXXIII-1)“.⁴²

ლევან ჭილაშვილმა ლაპიდარული წარწერის შესწავლის მომდევნო ეტაპზე აღნიშნა, რომ ტექსტის III-IV სტრიქონების გაშიფვრა ვერ ხერხდება. გარდა ამისა, მკვლევარმა მოიტანა წარწერის ტექსტის გადმონაწერი, დედნის შრიფტის დაცვით და ამ ტექსტის მისეული წაკითხვა: „წარწერის მესამე და მეოთხე სტრიქონები ვერ იშიფრება:

⁴² ჭილაშვილი, *ძველი გაგაზი*, გვ. 79, ტაბ. LXXIII

„O.O. შინ სუნჯ

ღი ბიუ სტ

ჰს ო ყშჲ

ღ ს ტ

უფალო შეიწყალენ სულითა

გიორგი დღესა

მას.. ე... ყმტ

ე...ს...ა“.⁴³

ლევან ჰილაშვილი ლაპიდარული წარწერის შესწავლის შემდეგ ეტაპზე მისი დათარიღების საკითხს შეეხო. მკვლევარმა აღნიშნა, რომ თეიმურაზ ბარნაველის მოსაზრებით, წარწერა, მისი პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, X საუკუნის II ნახევარზე უფრო ადრეული და XI საუკუნეზე უფრო გვიანდელი არ უნდა იყოს. გარდა ამისა, ლევან ჰილაშვილმა მოიხმო თეიმურაზ ბარნაველის ერთი კონკრეტული დაკვირვება ტექსტში დადასტურებული კიდურწერტილოვანი ასომთავრული Ⴀ-ს (ა) მოხაზულობაზე, რომელიც წარწერის აღნიშნული დათარიღების სასარგებლოდ მიუთითებს: „პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, როგორც ექსპედიციის წევრი ვ. ცისკარიშვილი განმარტავს, დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ წარწერა X ს. მეორე ნახევარზე ადრინდელი არ უნდა იყოს და არც XI ს. გვიანდელი. ამაზე განსაკუთრებით მიუთითებს ანი-ს მოხაზულობა, რომელიც კიდურწერტილოვანია“.⁴⁴

ლევან ჰილაშვილმა ლაპიდარული წარწერის შესწავლის ბოლო ეტაპზე გამოთქვა მოსაზრება, რომ წარწერა თავდაპირველად სხვა ადგილას იყო ჩადგმული და ის თავწმინდა გიორგის ეკლესიის აგების დროს, ე.ი. მკვლევრის მიხედვით, ადრეფეოდალური ხანის ბოლო პერიოდს, სავარაუდოდ, არ უკავშირდება: „ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ წარწერა მაინცდამაინც თავის ადგილას არა ჩანს ჩასმული და ის ჩვენი ვარაუდით არც ტაძრის აგების დროს უნდა უკავშირდებოდეს“.⁴⁵

თავწმინდა გიორგის ეკლესიის განსახილველი ლაპიდარული წარწერა ლევან ჰილაშვილის შემდეგ ფლორ დევდარიანმა და თამაზ დვალმა შეისწავლეს. მკვლევრებმა მიუთითეს წარწერის ადგილმდებარეობა, დაასახელეს მისი ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები, გამოთქვეს

⁴³ ჰილაშვილი, *ძველი გავაზი*, გვ. 79.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ იქვე.

მოსაზრება, რომ წარწერა ტაძრის აღმშენებლობის პერიოდს, ე.ი. მათი დაკვირვებით, IX-X საუკუნეებს, მიეკუთვნება და მოიტანეს ტექსტის დაზუსტებული წაკითხვა: „ეკლესიის სამხრ. ფასადის დას. კედელთან შემორჩენილია არაწესიერი ფორმის ქვა, რ-ზედაც ეკლესიის თანადროული, ასომთავრულით შესრულებული, დაქარაგმებული, ოთხსტრიქონიანი წარწერაა: უ(ფალ)ო, შ(ეიწყალ)ენ ს(უ)ლ(ი)თა გ(იორგ)ი დღესა მ(ა)ს გ(ა) ნკითხვ(ისას)ა“.⁴⁶


თავშინდა გიორგის ეკლესიის განსახილველი ლაპიდარული წარწერა ადგილზე 2023 წლის 14 ივლისს შევისწავლე.⁴⁷ ქვემოთ წარმოვადგენ წარწერის აკადემიურ პუბლიკაციასა და მისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი შესწავლის ძირითად შედეგებს.

თავდაპირველად მოვიტან: 1. წარწერის ტექნიკურ აღწერილობას; 2. წარწერის ფოტოს; 3. წარწერის პალეოგრაფიულ პირს; 4. მისი ტექსტის გადმონაწერს, დედნის შრიფტის დაცვით; და 5. წარწერის ჩემეულ წაკითხვას.

წარწერა ამოკვეთილია ოთხკუთხა მოყვანილობის მოშავო-მონაცრისფრო სიპი ქვის ფილაზე, რომელიც ეკლესიის სამხრეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთის საფასადო წყობაში, ტაძარში შესავლელი კარის ღიობთან ახლოს, კედლის დასავლეთ კიდიდან 83 სმ-ის დაშორებით, იატაკიდან 250 სმ-ის სიმაღლეზეა ჩადგმული. ქვის ფილის ზომებია: სიგანე – 52 სმ, ხოლო სიმაღლე – 46 სმ. ტექსტის საერთო ფართობი 31,5X25,5 სმ-ია. წარწერა ოთხ სტრიქონს შეიცავს. ტექსტი ასომთავრული დამწერლობით არის გადმოცემული. წარწერის ყველაზე მაღალი და ყველაზე დაბალი ასო-ნიშნების ზომებია: III სტრიქონის მეოთხე გრაფემა ხ (კ) – 3,8 სმ და III სტრიქონის მეხუთე გრაფემა ტ (თ) – 2,0 სმ. წარწერაში ქარაგმად სწორი განივი ხაზია გამოყენებული. ტექსტში განკვეთილობის ნიშნები არ გვხვდება. რამდენიმე გრაფემას მსუბუქად გამოხატული კიდურწერტილოვნება ახასიათებს. რიგ შემთხვევებში, ცალკეული სიტყვის შემადგენელი გრაფემები ერთმანეთისაგან საკმაოდ დიდი ინტერვალით არის დაშორებული. გრაფემები თვალშისაცემად მცირე სიღრმეზეა ჩაკვეთილი. რამდენიმე გრაფემა, ქვის ზედაპირის გადაცვეთისა და ატკეცის გამო, ნაწილობრივ არის დაკარგული.

⁴⁶ (სიკძა) თავშინდა გიორგის ეკლესია, გვ. 357.

⁴⁷ წარწერაზე მუშაობაში დახმარება გამიწიეს ჩემმა ყოფილმა სტუდენტებმა: არქეოლოგმა ვაჟა მამიაშვილმა, თამარ ფერაძემ და ანა ფურცხვანიძემ, რისთვისაც მათ მადლობას მოვასხენებ.



1. ႁႃႃႃ ႃႆႃ ႃႆႃ
2. ႆႆ ႆႆႆႆ
3. ႆႆ ႆႆ ႆႆႆႆ
4. ႆႆႆ

„ო(ვვალ)ო, შ(ეიწყალ)ენ ს(უ)ლ(ი)თა | გ(იორგ)ი დღესა | მ(ა)ს გ(ან)კ(ი)-
თხ(გ)ის(ა)სა“.

ციტირებული წარწერის პალეოგრაფიული ანალიზი აჩვენებს, რომ თეიმურაზ ბარნაველის მიერ მისი ქრონოლოგიის შესახებ გამოთქმული

მოსაზრება, არსებითად, სწორია და წარწერა, პალეოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, X-XI საუკუნეებს მიეკუთვნება.

ამ საკმაოდ ვრცელი, ორასწლიანი ქრონოლოგიური მონაკვეთის დავიწროვებაში დახმარებას გვიწევს ზემოთ მიღებული დასკვნა, რომ თავწმინდა გიორგის ეკლესია, რომლის კედელზეც განსახილველი წარწერაა ამოკვეთილი, 1026 წელს იყო აგებული. აქედან, ირკვევა, რომ წარწერის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვარს 1026 წელი წარმოადგენს. ხოლო თუ აქ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წარწერას, მისი პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, XI საუკუნეზე უფრო მოგვიანო პერიოდს ვერ მივაკუთვნებთ, მაშინ გამოდის, რომ ის ან უშუალოდ თავწმინდა გიორგის ეკლესიის აგების დროით, ე.ი. 1026 წლით, ან კიდევ, ტაძრის აგებიდან XI საუკუნის მიწურულამდე ქრონოლოგიური მონაკვეთით, ე.ი. 1020-1090-იანი წლებით თარიღდება.

საკითხის შესწავლის მოცემულ ეტაპზე, ფლორ დევდარიანისა და თამაზ დვალის მსგავსად, უფრო იმ აზრისაკენ ვიხრები, რომ წარწერა თავწმინდა გიორგის ეკლესიის აგების თანადროული უნდა იყოს. შესაბამისად, წარწერას ტაძრის ახლადდადგენილი ქრონოლოგიის გათვალისწინებით, 1026 (?) წლით ვათარიღებ.

წარწერა სავედრებელი შინაარსის ტექსტს შეიცავს. წარწერაში მისი შემდგენლები ვედრებით მიმართავენ უფალს და შესთხოვენ, რომ „დღესა მას განკითხვისაჲ“, ე.ი. მეორედ მოსვლის დროს, ვინმე გიორგის სული შეიწყალოს.

სამწუხაროდ, წარწერაში მოხსენიებული გიორგის ვინაობის დადგენა, შესაბამისი მონაცემების უქონლობის გამო, ვერ ხერხდება. შესაბამისად, ჯერჯერობით, დაუდგენელია, თუ რა კავშირი ჰქონდა მას, ერთი მხრივ, თავწმინდა გიორგის ეკლესიასთან, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ეკლესიის ქტიტორებთან – მეფე კვირიკე III-სა და მეფე საჰლასთან. გარდა ამისა, ჯერჯერობით, გაურკვეველია ისიც, ჩართული იყო თუ არა წარწერაში მოხსენიებული გიორგი თავწმინდა გიორგის ეკლესიის აღმშენებლობის პროცესში და რა როლს თამაშობდა იგი ამ საქმეში.

დღეისათვის დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ წარწერაში მოხსენიებული გიორგი თავისი დროის მნიშვნელოვანი მოღვაწე იყო და როგორც მეფეებთან – კვირიკე III-სა და საჰლასთან, ისე მათ მიერ აგებულ თავწმინდა გიორგის ეკლესიასთან ორგანული კავშირი ჰქონდა. სხვა შემთხვევაში, გიორგის სავედრებელ წარწერას კახეთ-ჰერეთის მეფეების ქტიტორობით აღშენებული ტაძრის კედელზე, თანაც, ეკლესიის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, შესასვლელი კარის მომიჯნავედ, უბრალოდ არ ამოკვეთდნენ.

IX. ძველი გავაზის 1026 წლის წარწერა და დარბაზოვანის არქიტექტურული კომპლექსის ისტორიული მნიშვნელობა.

ჩვენ უკვე ვნახეთ ზემოთ, რომ თავწმინდა გიორგის ეკლესია დარბაზოვანის არქიტექტურული კომპლექსის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, სრულებით ცხადია ისიც, რომ ტაძრის აღმშენებლობის საკითხების გარკვევა დარბაზოვანის კომპლექსის ისტორიულ მნიშვნელობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტის საშუალებასაც გვაძლევს.

დარბაზოვანის არქიტექტურული კომპლექსის ისტორიულ მნიშვნელობაზე პირველად დავით მუსხელიშვილმა გაამახვილა ყურადღება. მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ძველი გავაზი ძველად მნიშვნელოვანი ისტორიული პუნქტი უნდა ყოფილიყო და ამ მოსაზრების დასასაბუთებელ ერთ-ერთ არგუმენტად ძველი გავაზის მიდამოებში ტოპონიმ „დარბაზოვანის“ არსებობის ფაქტი მოიხმო: „სოფ. ძველი გავაზი უეჭველად მნიშვნელოვანი პუნქტი უნდა ყოფილიყო ძველად. ამას მოწმობს იქ დაცული ძველი ისტორიული ნაშთები (ნასოფლარები, არხები, კოშკები, ადრეფეოდალური და უფრო გვიანდელი ეკლესიები. განსაკუთრებით მეტყველია საამისოდ ცნობილი „გავაზის ტეტრაკონქი“, რომელიც VI ს-ით თარიღდება) და აგრეთვე ტოპონიმიკა („ნაბაზრალი“, „დარბაზოვანი“)“.⁴⁸

დავით მუსხელიშვილის შემდეგ დარბაზოვანის არქიტექტურული კომპლექსის ისტორიული მნიშვნელობის საკითხს ლევან ჭილაშვილი შეეხო. მკვლევარმა ამ კომპლექსის სამხედრო დანიშნულებაზე გაამახვილა ყურადღება და გამოთქვა მოსაზრება, რომ დარბაზოვანი ძველი გავაზის, როგორც მნიშვნელოვანი ისტორიული პუნქტის, თავდაცვითი სისტემის ბირთვს წარმოადგენდა და დასახლებას კავკასიონის ქედის მხრიდან მომავალი საფრთხისაგან იცავდა: „დარბაზოვანი... გავაზის თავდაცვითი სისტემის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა და იგი ჰკეტავდა ხეობიდან გამოსასვლელს, საიდანაც ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი საფრთხე“.⁴⁹

ძველი გავაზის 1026 წლის წარწერა ახალი, აქამდე უცნობი ინფორმაციით ამდიდრებს ჩვენს ცოდნას დარბაზოვანის არქიტექტურული კომპლექსის ისტორიული მნიშვნელობის შესახებ. მხედველობაში მაქვს წარწერაში დაცული ცნობა, რომ დარბაზოვანის არქიტექტურულ კომპლექსში

⁴⁸ მუსხელიშვილი, „კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII საუკუნეებში“, გვ. 84-85.

⁴⁹ ჭილაშვილი, *ძველი გავაზი*, გვ. 80.

შემაგალი თავწმინდა გიორგის ეკლესია უშუალოდ კახეთ-ჰერეთის მეფეების – კვირიკე III-ისა და საჰლას ქტიტორობით იყო აგებული.

ძველი გავაზის წარწერის ამ ცნობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ 1020-იანი წლებისათვის თავწმინდა გიორგის ეკლესიაცა და დარბაზოვანის არქიტექტურული კომპლექსიც კახეთ-ჰერეთის მეფეთა საკუთრებას წარმოადგენდა ან კიდევ, ვინმე სხვა სენიორს, ვთქვათ, რომელიმე საეპისკოპოსო საყდარსა თუ მონასტერს, ეკუთვნოდა, ოღონდ მასზე პატრონაჟს სამეფო კარი ახორციელებდა.

სამწუხაროდ, დღეისათვის, შესაბამისი მასალის უქონლობის გამო, არ შემიძლია, ვთქვა, თუ როდის აღმოჩნდა დარბაზოვანის არქიტექტურული კომპლექსი სამეფო კარის საკუთრებაში ან მისი პატრონაჟის ქვეშ – კახეთ-ჰერეთის გაერთიანებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ თუ უფრო ადრე, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ძველ გავაზზე ჰერეთისა და აფხაზთა სამეფოების იურისდიქცია ვრცელდებოდა. გარდა ამისა, საკითხის შესწავლის მოცემულ ეტაპზე, არც იმის თქმა შემიძლია, თუ რა ფუნქცია ეკისრებოდა დარბაზოვანის კომპლექსს კახეთ-ჰერეთის სამეფო კარის ან კიდევ, ჰერეთისა თუ აფხაზთა მეფეების მიერ წარმოებულ სამხედრო-ადმინისტრაციულ, სავაჭრო-ეკონომიკურ თუ საეკლესიო-კულტურულ პოლიტიკაში.

მიუხედავად ამისა, ყოველგვარ ეჭვგარეშეა, რომ დარბაზოვანის არქიტექტურული კომპლექსი კახეთ-ჰერეთის სამეფოს ცხოვრებაში გამორჩეულ როლს ასრულებდა. სხვა შემთხვევაში, არც ეს კომპლექსი აღმოჩნდებოდა სამეფო კარის საკუთრებაში თუ პატრონაჟის ქვეშ და არც კახეთ-ჰერეთის მეფეები ააგებდნენ კომპლექსის ფარგლებში თავწმინდა გიორგის ეკლესიას.

მაშასადამე, ძველი გავაზის 1026 წლის წარწერის დახმარებით, დგინდება, რომ 1020-იანი წლებისათვის დარბაზოვანის არქიტექტურული კომპლექსი კახეთ-ჰერეთის სამეფო კარის საკუთრებას წარმოადგენდა ან მისი პატრონაჟის ქვეშ იყო და ქვეყნის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ბიბლიოგრაფია

- ალასანია (გამოც.),** *ჟამთააღმწერელი* = ალასანია (გამოც.), *ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მაციაზე, ქართლის ცხოვრება*, თბილისი, 2008.
- ბარნაველი (გამოც.),** *კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები* = თ. ბარნაველი (გამოც.), *კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები*, თბილისი, 1961.
- ბარნაველი,** „კახეთის ზოგიერთი ეპიგრაფიკული ძეგლი“ = თ. ბარნაველი, „კახეთის ზოგიერთი ეპიგრაფიკული ძეგლი“, *ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები და მუშაობის გეგმა*, თბილისი, 1957, გვ. 8.
- ბაქრაძე – ბოლქვაძე (გამოც.),** *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი* = ა. ბაქრაძე, ხ. ბოლქვაძე (გამოც.), *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი*, თბილისი, 1953.
- თუმანიშვილი და სხვ.,** *მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების* = დ. თუმანიშვილი, ნ. ნაცვლიშვილი, დ. ხოშტარია, *მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში*, თბილისი, 2012.
- ლორთქიფანიძე (გამოც.),** *მაციაზე ქართლისა* = მ. ლორთქიფანიძე (გამოც.), *მაციაზე ქართლისა, ქართლის ცხოვრება*, თბილისი, 2008.
- ლორთქიფანიძე (გამოც.),** *სუმბაჯ დავითის ძე* = ლორთქიფანიძე (გამოც.), *სუმბაჯ დავითის ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრაფონიანთა, ქართლის ცხოვრება*, თბილისი, 2008.
- ლორთქიფანიძე,** „ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა“ = მ. ლორთქიფანიძე, „ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა“, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტომი II, *საქართველო IV-X საუკუნეებში*, თბილისი, 1973, გვ. 372-506.
- მიქაუტაძე,** *შუა საუკუნეების კახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების ენობრივი თავისებურებანი* = მ. მიქაუტაძე, „შუა საუკუნეების კახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების ენობრივი თავისებურებანი“, *ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის წელიწადური*, XIII, ქუთაისი, 2021, გვ. 125-134.
- მუსხელიშვილი,** „კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII საუკუნეებში“ = დ. მუსხელიშვილი, „კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII საუკუნეებში“, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, III (1967), გვ. 55-130.
- პაპუაშვილი,** „ჰერეთის ისტორიის საკითხები“ = თ. პაპუაშვილი, *ჰერეთის ისტორიის საკითხები, ნარკვევები სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიიდან (უძველესი დროიდან XII საუკუნის I მეოთხედამდე)*, თბილისი, 1970.
- (ქსე) გავაზი** = ლ. ჭილაშვილი, „გავაზი“, *ქართული სამშობლო ენციკლოპედია*, 2, თბილისი, 1977, გვ. 623.
- (ქცტლ) გავაზი** = „გავაზი“, *ქართლის ცხოვრების ცოპოარქეოლოგიური დექსიკონი*, ავტორები: გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე (თბილისი, 2013), გვ. 130-132.
- ჭილაშვილი,** *ძველი გავაზი* = ლ. ჭილაშვილი, *ძველი გავაზი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა)*, თბილისი, 1975.
- (ხე) გავაზი** = ლ. ჭილაშვილი, მ. დვალი, გავაზი, საქართველო, ენციკლოპედია, 1, თბილისი, 1997, გვ. 532.

(სემსხსმ) ქვის ძეგლ. ფონდი, საინვ. დავთარი #2 = საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი, ქვის ძეგლების ფონდი, საინვენტარო დავთარი #2.

(სიკდა) ახალსოფელი = გ. აფრასიძე, კ. კახაძე, ლ. მოწონელიძე, „ახალსოფელი“, *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, 1-1, გურჯაანის, დედოფისწყაროს, ყვარლის მუნიციპალიტეტები, თბილისი, 2013, გვ. 353-354.

(სიკდა) თავწმინდა გიორგის ეკლესია = ფ. დევდარიანი, თ. დვალი, „თავწმინდა გიორგის ეკლესია“, *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, 1-1, გურჯაანის, დედოფისწყაროს, ყვარლის მუნიციპალიტეტები (თბილისი, 2013), გვ. 355-358.

Чубинашвили, *Архитектура Кახетии* = Г. Чубинашвили, *Архитектура Кახетии, Исследование развития архитектуры в восточной провинции Грузии в IV-XVIII веках*, Тбилиси, 1959.

კორნელი კეკელიძის სახელობის
საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
temojua2008@gmail.com

THE 1026-YEAR-OLD CONSTRUCTION INSCRIPTION OF THE CHURCH OF ST. GEORGE OF OLD GAVAZI, MENTIONING THE KINGS OF KAKHETI-HERETI – KVIRIKE III THE GREAT AND SAHLA

(SUMMARY)

I. The main goal of the work is to study and publish the lapidary inscription preserved under number 524 in the fund of stone monuments of the Simon Janashia State Museum (Georgian National Museum). The inscription was discovered on the territory of one of the oldest and most important settlements of the historical Hereti province – Old Gavazi, and therefore, I will refer to it as the Old Gavazi inscription.

II. Four main opinions have been expressed in the scientific literature about the Old Gavazi inscription so far:

1. Giorgi Chubinashvili was the first among researchers to see the inscription, approximately in 1919. At that time, the inscription was taken from the ruins of the

Nabazrevi church in one of the districts of ancient Gavazi (Teimuraz Barnaveli).

2. The inscription reads as follows: „ქრონიკონი ყო სმე (1025 წ.). ქრისტე ადიდე მ... ლე და სავლა ამის ეკლესიის ამშენებელნი. და მლოცველი მათი ღთორ (?) [შეიწყალე], ამინ; და იოანე გალატ[ოზი] [შეიწყალე]!“ (Choronikon was sme (=1025). Christ, praise M... le and Savla, the builders of this church. And [have mercy] who prays for them, amen; and [have mercy on] Ioane the builder! (Teimuraz Barnaveli).

3. According to the inscription, the church named in its text was built in 1025, by a Georgian architect unknown in other sources – Ioane the builder, under the patronage of unidentified persons – “M... le” and “Savla” (Teimuraz Barnaveli).

4. It has not yet been possible to identify and study a church in the Nabazrevi, also known as Nabazrali, district. Nevertheless, it is conceivable that the church named in the inscription was an important monument (Levan Chilashvili).

III. A thorough examination of the ancient Gavazi inscription enables me both to refine the interpretations proposed by earlier researchers and to introduce several new perspectives.

1. The inscription belonged not to the unidentified church in the Nabazrevi district, but rather to the Tavtsminda Giorgi Church located in a completely different district of Old Gavazi – Darbazovani, and was brought to the museum in 1957 from the ruins of this church.

2. The inscription reads as follows: „ქრ(ონი)კ(ო)ნი ყო სმე (1026 წ.). ქ(რისტ)ე, ა(დი)დ(ენ) | მ(ე)ფ(ენი) – კ(ვ)რ(ი)კ(ე) და საჰლა, ამის ეკლესიისა მ(ა)შ(ე)ნ(ე)ნ(ე)ბელნი და მ(ლო)ცველი მ(ა)თი ღ(მერ)თმ(ან) შ(ეიწყალ)ენ], | ა(მ)ენ. და ი(ოვ)ანე გალ(ა)ტ(ო)[ზი] [შ(ეიწყალ)ენ]“ (Choronikon was smv (=1026). Christ, praise the kings – Kvirike and Sahla, the builders of this church. And [have mercy] who prays for them, amen; and [have mercy on] Iovane the builder!).

3. From a new reading of the inscription, we learn that the Church of Tavtsminda Giorgi was built in 1026 by Iovane the builder under the patronage of Kvirike III the Great, the king of Kakheti-Herety, and his co-regent son King Sahla, a historical person unknown in other written sources.

IV. In the work, in addition to the issues discussed above, the following issues were studied from a historical and source-scientific perspective:

1. Some episodes of the life and work of historical figures mentioned in the ancient Gavazi inscription: a) Kakheti-Hereti king Kvirike III the Great; b) Kvirike

III's co-regent king Sahla; and c) Iovane the builder.

2. The ancient Gavazi inscription and the history of the Tavsminda Giorgi Church: a) The construction of the church; b) The beseeching inscription of 1026 (?) with the mention of Giorgi; and c) The significance of the Darbazovani architectural complex.

Korneli Kekelidze Georgian National
Centre of Manuscripts
temojua2008@gmail.com

Temo Jojua